საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორაც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრაის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 27 თებერვალი. 2018 წ. №41 (8442), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ცხინვალი არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემაზე უარს აცხადებს!

ერგნეთში ინცინდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის ჯგუფის არაგეგმური შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა კახა ქემოკლიძემ აღნიშნა დე ფაქტო ცხინვალის წარმომადგენლებმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე გარდაცვლილი არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემაზე ამ ეტაპზე უარი განაცხადეს. მათი თქმით, შეხვედრაზე გაირკვა, რომ ცხედრის საფუძვლიანი ექსპერტიზა ვერ ჩატარდა, რის გამოც, რუსეთის ფედერაციის საექსპერტო ბიუროს მიმართეს და აღნიშნულ პროცედურებს და ექსპერტიზას რამდენიმე დღე დასჭირდება.

ქართულმა მხარემ ვერ მიიღო კონკრეტული პასუხი საქართველოს ორი მოქალაქის ლევან ქუტაშვილისა და იოსებ პავლიაშვილის გათავისუფლებაზეც. ქართულ მედიასთან კომენტარზე უარი განაცხადეს დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმაც.

იერუსალიმში მაცხოვრის საფლავის სახელობის ტაძარი დაკეტეს...

12

დესტრუქციულ, მარგინალურ ძალასთან არ ვაპირებთ არანაირ თანამშრომლობას

2



საქართველო – შესაწირად გამზადებული პაიკი!

10 წელია, თითი თითზე არ დაგვიკარებია „არსებული რეალობის“ შესაცვლელად და, ყველაფერს რუსეთს ვაბრალებთ. აი, ესაა სადარდებელი! თურქეთის მხრიდან ეკონომიკური, რელიგიური და დემოგრაფიული ექსპანსიაა სადარდებელი! არც ამისთვის იბერტყავს ყურს ვინმე! ახლა კი, უკვე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე „ნატოში“ შესვლის საკითხს რომ ვიხილავთ და რუსეთთან აშკარა კონფრონტაციაზე მივდივართ, ისაა სადარდებელი! რუსეთთან ასეთი „შეხების წერტილების“ მოძიებას გულისხმობენ პრემიერი და მისი მრჩეველი?! და, ხალხიც აქტიურად რომ არ აპროტესტებს ხელისუფლების ამ ნაბიჯებს, ისაა სადარდებელი! გამოდის, ყველანი ყველაფერს შეგუებულები ვყოფილვართ და ესაა! რაღა გვიჭირს, ასეთი „ბედნიერი ერი“ არასოდეს არ ყოფილა ქართველი ერი!

იხ. 6-7 გვ.

„კარგი მოქალაქეები, მაგრამ ცუდი მეზობლები“

9

ДАწИНАУРЕБА УБЕРЕБЕЛТА МЕКРИВШИ

აკაკი ნადარეიშვილი: ჩემი ყველაზე დიდი ჯილდო განკურნებული პაციენტია

5



რა საერთო ჰქონდა კომპარტიის ცეკას... „ბიბლიასთან“?

4

გია მაისაშვილი გარდაიცვალა

— გიო აღარ გვყავს... დიდი მამულიშვილი დაკარგა საქართველომ. ვერ შევუსრულეთ ბოლო წადილი, სამშობლოში დაელია სული... — ნათქვამია გია მაისაშვილის ფეისბუქ-გვერდზე გავრცელებულ განცხადებაში.

ლიდერთა სკოლის დამფუძნებელს თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნე 2015 წელს დაუდგინეს.

ის მკურნალობის კურსს ამერიკის შეერთებულ შტატებში გადიოდა.

გიორგი მაისაშვილი 1962 წლის 24 ნოემბერს დაიბადა. მაისაშვილმა 1993 წელს სტენფორდის უნივერსიტეტში (აშშ) გაიარა სპეციალური კურსი. 1997 წელს დაამთავრა ჯონ ფ. კენედის სახელობის ჰარვარდის სამთავრობო სკოლა. მუშაობდა ენერგეტიკულ კომპანია „ენრონში“, სადაც 2001 წლამდე კორპორაციის რისკის ანალიზის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. იყო კემბრიჯის ენერგეტიკული ასოციაციის (CERA) კასპიის აუზის ენერგეტიკული შემცველების დეპარტამენტის უფროსი. 2003 წელს გ. მაისაშვილი საქართველოში დაბრუნდა. 2007 წლის 26 ივლისს მაისაშვილმა დააფუძნა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომავლის პარტია“. 2008 წლის 5 იანვარს გია მაისაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა.

მოვუწოდებ ეთნიკურ უმცირესობებს, აქტიურად ჩაერთონ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის საზეიმო აღნიშვნაში

ახალი კამპანიის „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ – რესპუბლიკის 100 წელი“ ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი თელავისა და გორის შემდეგ, მარნეულის მოსახლეობას შეხვდა.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაწყებული კამპანიის „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ – რესპუბლიკის 100 წელი“, მიზანი ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და საფრთხეებთან დაკავშირებით ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებაა.

წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 100 წელი შესრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა 2018 წელი თავისუფლების წლად გამოაცხადა და აღნიშნული თარიღი მიმდინარე წლის 26 მაისს საზეიმოდ აღინიშნება.

მარნეულის „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ შეკრებილ ადგილობრივ მოსახლეობას პრეზიდენტმა მიმართა და საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავთან დაკავშირებით დაგეგმილ საზეიმო ღონისძიებებში აქტიური ჩართვისაკენ მოუწოდა.

– წელს საზეიმო მიზეზი გვაქვს – 100 წელი უსრულდება პირველ რესპუბლიკას. ჩვენმა წინაპრებმა დააფუძნეს რესპუბლიკა, დააფუძნეს დემოკრატიული მმართველობა, მიიღეს პირველი კონსტიტუცია – მაღალი დემოკრატიული სტანდარტების დოკუმენტი, მიანიჭეს ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, საფუძველი ჩაუყარეს იმ ხედვებს, რომლითაც მომავალმა თაობებმა იხელმძღვანელეს და ამ პრინციპებზე დაყრდნობით ააგეს შემდგომში ახალი კონსტიტუცია და დამოუკიდებელი სახელმწიფო, – აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა. გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, კამპანიის „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ“ ერთ-ერთი მიზანი სწორედ თავისუფლებისაკენ სვლისა და სწრაფვისას, განვლილი გზის, დამოუკიდებლობის ასწლიანი პროცესის გაანალიზებაა.

განიხილეს ენერგეტიკული ბაზრის განვითარების საკითხები

პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მსხვილი ევროპული ენერგეტიკული კომპანიების „Nord Pool AS“-ისა და „Bluberries GmbH“-ის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოს ელექტროენერგეტიკის ბაზრის არსებულ ვითარებასა და მისი განვითარების ძირითად მიმართულებებზე. აღინიშნა, რომ ევროპულ კომპანიებს გააჩნიათ ევროპის ქვეყნების ელექტროენერგიის ბაზრის მართვის დიდი გამოცდილება, ამდენად, მათი რეკომენდაციები საქართველოში შესაბამისი სექტორის რეფორმის მიმართულებით იქნება ძალიან მნიშვნელოვანი.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ქართული მხარე აღნიშნულ კომპანიებთან თანამშრომლობის მემორანდუმს გააფორმებს, რომლის ფარგლებშიც ერთი წლის განმავლობაში ისინი მიაწვდიან კონკრეტულ რეკომენდაციებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რათა საქართველოში შეიქმნას ელექტროენერგიის კონკურენტული ბაზარი და ქვეყანა გახდეს ელექტროენერგიით ვაჭრობის რეგიონალური ჰაბი.

„Nord Pool AS“ ელექტროენერგიის უმსხვილესი ბაზარია ევროპაში. კომპანია ოპერირებს ნორვეგიაში, დანიაში, შვედეთში, ფინეთში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში და ევროპის 15 ქვეყანაში ელექტროენერგიის ბაზრის ნომინირებული ოპერატორია (NEMO). გარდა ამისა, „Nord Pool AS“ ემსახურება ბულგარეთისა და ხორვატიის ბაზრებს. სკანდინავიის ბაზარზე მოხმარებული ელექტროენერგიის 80%-ზე მეტი „Nord Pool“-ზე ივაჭრება. „Nord Pool AS“ მსოფლიოს პირველი მულტინაციონალური ენერგობირჟა იყო. „Nord Pool“ „ერთი დღით ადრე“ და „შიდა დღიურ“ ბაზრებზე ვაჭრობის საშუალებას იძლევა. დღეს „Nord Pool AS“-ს 20 ქვეყანაში 380 წევრი ჰყავს, მათ შორის საჯარო და კერძო ენერგომწარმოებლები, საინვესტიციო კომპანიები, ბანკირები და ფინანსური ინსტიტუციები.

იქნებ ქართული წარწერებიც გველირსოს!

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევისთვის საჯარიმო სანქციები გამკაცრდება. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ ახვლედიანის ქუჩაზე განაცხადა, სადაც კაფეებისა და ბარების ფასადებზე დარღვევით განთავსებულ წარწერებთან დაკავშირებით, თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურს შესაბამისი მითითება მისცა.

კახა კალაძის თქმით, აღნიშნული საკითხის მოგვარება მისი წინასაარჩევნო დაპირება იყო და ამ მიმართულებით, მუშაობა საკანონმდებლო დონეზე გაგრძელდება. **„ფასადებზე არაქართულენოვანი წარწერების გამოყენება სერიოზული პრობლემაა, რომელსაც დღეს, დედაქალაქში ვაწყდებით. ამას წინასაარჩევნოდაც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ ამ მიმართულებას ძალიან დიდ ყურადღებას მივაქცევთ და მკაცრი ვიქნებით. დღესვე დავავალე ზედამხედველობის სამსახურს, რომ დაიწყონ მითითებები, ყველა მესაკუთრეს მისცენ გონივრული ვადა, რომ გარკვეული დროის განმავლობაში, ცვლილებები განხორციელდეს. ჩვენ არავის ვეწინააღმდეგებით და ვერჩით – ყველას აქვს უფლება და საშუალება, ქვეყანაში ჩამოვიდეს, ბიზნესი აწარმოოს, რა თქმა უნდა, ჩვენი კანონის ფარგლებში, მაგრამ ქართულ ენას პატივი უნდა ვცეთ. ეს ყველაფერი კანონმდებლობით არის განსაზღვრული. თუ დამატებითი რეგულაციებია საჭირო, აუცილებლად მივმართავთ საკრებულოს და კანონის გამკაცრების თვალსაზრისით – პარლამენტს“,** – აღნიშნა კახა კალაძემ.

მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი გიორგი ბაგრატიონი მოქალაქეებს მოუწოდებს, კანონი დაიცვან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ობიექტი დაჯარიმდება. მისი თქმით, საჯარიმო სანქციებთან დაკავშირებით, ცვლილებები იგეგმება. თბილისის მერთან ერთად, ახვლედიანის ქუჩაზე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე, თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი და საკრებულოს წევრი ბექა დავითულიანი იმყოფებოდა.

დესტრუქციულ, მარგინალურ ძალასთან არ ვაპირებთ არანაირ თანამშრომლობას

„ევროპულ საქართველოსთან“ ვთანამშრომლობთ იმიტომ, რომ ისინი არიან კონსტრუქციულები. დესტრუქციულ, მარგინალურ ძალასთან არ ვაპირებთ არანაირ თანამშრომლობას – აცხადებს დედაქალაქის მერი ბიბლიოთეკების სავარაუდო შემცირებასთან დაკავშირებით. კალაძე ამბობს, რომ ოპოზიციის ნაწილი არასწორ განცხადებებს აკეთებს.

„ჩვენ უნდა გავყოთ ოპოზიცია. ერთია მარგინალური, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოადგენს და მეორე „ევროპული საქართველო“. ჩვენ „ევროპულ საქართველოსთან“ ვთანამშრომლობთ იმიტომ, რომ ისინი არიან კონსტრუქციულები. დესტრუქციულ, მარგინალურ ძალასთან არ ვაპირებთ არანაირ თანამშრომლობას. ჩვენ ამასთან დაკავშირებით არაერთხელ გავაკეთეთ განცხადება, საკრებულოშიც გაკეთდა განცხადებები, ამაზე ვისაუბრე მე და ეს იქნება ასე, სანამ არ დალაგდებიან და გაერკვევიან, რა უნდათ“, – განაცხადა კალაძემ.

გიგი უგულავა მთავრობას ფაროსანას თემაზე საუბარსაც ურჩევს

გიგი უგულავა მთავრობას ფაროსანას თემაზე მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთან საუბარს ურჩევს. როგორც „ევროპული საქართველოს“ ლიდერმა პარლამენტში, აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, აღნიშნული პრობლემის ერთ-ერთი ეპიცენტრი სოჭშია. უგულავას თქმით, ასევე აუცილებელია საუბარი თურქეთთან და აზერბაიჯანთან.

„ვაშლი და ყურძენი გაცილებით უფრო მოწყვლადია და მაინტერესებს თქვენი პროგნოზი, პრობლემას უნდა ველოდოთ თუ არა გაისად ქართლში და შემდეგ უკვე კახეთში. თქვენი დამოკიდებულება აჩვენებს, რომ აპირებთ არა ფართომასშტაბიან ბრძოლას, არამედ ფრაგმენტულს ამ პრობლემის წინააღმდეგ. ჩვენი პოზიციაა, რომ უნდა გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა. შტაბს უნდა ხელმძღვანელობდეს პრემიერ-მინისტრი. მთავრობა უნდა იყოს ქუთაისსა და ზუგდიდში. მოსაშველებელია თურქეთი, აზერბაიჯანი. საჭიროების შემთხვევაში, რუსეთთან ამაზეა ზუსტად სალაპარაკო, რადგან ეპიცენტი სოჭიდან მოდის. ასევე მოსაძიებელია ინფორმაცია, თუ რა ხდება აფხაზეთის ტერიტორიაზე. მთელი რიგი საკითხებია, რომელიც არის ყურადღების მიღმა და ეს ტოვებს ლეგიტიმურ ეჭვს მოსახლეობაში, რომ მთავრობა „გალაჩკით“ აპირებს ამ პრობლემის მოგვარებას“, – განაცხადა უგულავამ.

ფაროსანას პრობლემით ხალხი არ უნდა დავზაფროთ!

– აზიური ფაროსანა არის ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევა. ეს არის ძალიან დიდი საფრთხე ყველა იმ ქვეყანაში, რომელ ქვეყანაშიც ეს მავნებელი არსებობს. ამ კომიტეტშიც და ნებისმიერ სხვა ფორმატშიც! არაერთხელ ვთქვი, რა ტიპის გამოწვევის წინაშე ვართ აზიური ფაროსანას გამო. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, 2017 წელს ჩატარებული საკომუნიკაციო კამპანიის შედეგად, მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია ამ პრობლემის შესახებ და შეძლო, რომ მოსახლეობას გაეთავისებინა და აქტუალურობა დაეფიქსირებინა. **როდესაც ვთქვი, რომ ეს საკითხი არის პოლიტიზირებული-მეთქი, განვმარტავ, რა ვიგულისხმე: ხშირ შემთხვევაში კეთდება უპასუხისმგებლო განცხადებები, რომელიც უკავშირდება აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებებს. ეს თემა არ უნდა იყოს პოპულიზმის საგანი. ჩვენ პოპულიზმით ვნერგავთ უიმედობას მოსახლეობაში. ვერავინ დამაჯერებს, რომ მმართველ გუნდზე მეტად გული შესტკივა რომელიმე პარლამენტარს თუ აქტივისტს ამ საკითხთან დაკავშირებით,** – განაცხადა ლევან დავითაშვილმა პარლამენტში, საკომიტეტო მოსმენაზე.

საქართველო გერმანიას უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეყვანას სთავაზობს

ქართულმა მხარემ გერმანიას საქართველოს უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეყვანა შესთავაზა. ამის შესახებ ჟურნალისტებს შსს-ის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელმა ეკა მაჭავარიანმა განუცხადა. მისივე თქმით, საქართველოსთვის უსაფრთხო ქვეყნის სტატუსის მინიჭებაზე საუბარია შვედეთთანაც.

„შს მინისტრის მოადგილე ნინო ჯავახაძე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიასა და ავსტრიაში. გერმანიაში შეხვდა ჩრდილოეთ ვესტფალიის შინაგან საქმეთა მინისტრს და ოფიციალურ პირებს, ასევე, ავსტრიაში გამართა შეხვედრები შს სამინისტროში. მან წარადგინა ინიციატივები, რომელიც დაგეგმილი აქვს საქართველოს მთავრობას, კერძოდ, გვარის ცვლილებასთან დაკავშირებით, ასევე, პოლიციის ატაშეების არსებული ინსტიტუტის გაძლიერება და საჭიროებისამებრ, ახალი პოლიციის ატაშეების წარგზავნის შესახებ.

ციფრები მზარდია, მაგრამ საგანგაშო, რასაკვირველია, არ არის. კონკრეტული თანამშრომლობის გეგმებთან დაკავშირებით გეტყვით, რომ ჩვენი მხრიდან მოხდა შეთავაზება ამ საკანონმდებლო ინიციატივის და ასევე, ოპერატიულ რეჟიმში ინფორმაციის გაცვლის შესახებ, რასაც გერმანიის მხარეც და ავსტრიის მხარეც მიესალმა. ერთხმად ყველამ აღნიშნა კმაყოფილება პოლიციის ატაშეების და სამართალდამცავ სფეროში არსებულ თანამშრომლობასთან დაკავშირებით. კონკრეტული ნაბიჯების დაგეგმვა არ ყოფილა. გერმანიას შევთავაზეთ საქართველოსთვის უსაფრთხო ქვეყნის სიაში სტატუსის მინიჭება. ავსტრიასთან უკვე გვაქვს და რეადმისიის ხელშეკრულების წარმატებით განხორციელებაც ერთხმად იქნა აღიარებული“, — განაცხადა მაჭავარიანმა.

საქართველოში ჩითილების პირველი საწარმო გაიხსნა

თიბისი ლიზინგის მხარდაჭერით, საქართველოში ჩითილების პირველი საწარმო „მზა ჩითილი“ გაიხსნა, რომელიც უახლესი ტექნოლოგიებით და დანადგარებით არის აღჭურვილი. **კომპანია ფერმერებს შესაძლებლობას მისცემს, დიდი რაოდენობის მოსავალი მიიღონ ნაკლები დანახარჯებით.**

სათბურში, რომელიც მარნეულში, სოფელ აზიზქენდში 1.1 ჰექტარზეა განთავსებული, ბოსტნეულისა და ყვავილების ჩვეულებრივი და დამყნობილი ჩითილების წარმოება მოხდება. სეზონის განმავლობაში 7 მლნ წლიურად კი 30 მლნ ჩითილის გამოყვანა იგეგმება. ანალოგიური საწარმო საქართველოში დღემდე არ არსებობდა და ქართველ მეწარმეებს მსგავსი ჩითილების შეძენა საზღვარგარეთ უწევდათ.

კომპანიამ სასათბურე კონსტრუქციისა და ჩითილების დასარგავი დანადგარების შეძენა თიბისი ლიზინგის ფინანსური მხარდაჭერით შეძლო. დაფინანსების ჯამურმა თანხამ 1 მლნ ლარზე მეტი შეადგინა.

„მზა ჩითილი“ კომპანია WG Techno — წყლისა და გაზის ტექნოლოგიების მიერ დაფუძნდა, რომელიც თანამედროვე სარწყავი სისტემების პირველი და ყველაზე დიდი მიმწოდებელია საქართველოში.

მიწის გაყიდვის ტოტალურ აკრძალვაზე არასდროს გვისაუბრია!

ტოტალურ აკრძალვაზე არასდროს გვისაუბრია, — ასე უპასუხა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ჟურნალისტის კითხვას იმის შესახებ, თუ რა პოზიცია აქვს მინისტრს უცხოელებზე მიწების მიყიდვის შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებებზე.

„ჩვენი პოზიცია გაგვაჩნია სამინისტროს, მაგრამ მიმდინარეობს სამუშაო პროცესი. ჩვენი პოზიციაა და ვამბობთ, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწას პასუხისმგებლობით უნდა მოვეპყრათ, უნდა არსებობდეს რეგულაციები, შეზღუდვები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა ტოტალურ აკრძალვაზე არასდროს გვისაუბრია, უნდა არსებობდეს გარკვეული სივრცე ინვესტიციების განხორციელების, მათ შორის, სტრატეგიული პროექტების შემთხვევაში. შეიძლება, მთავრობას ჰქონდეს ამის დისკრეცია. კონკრეტულად დეტალები ჩაწერილი იქნება კანონში“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

მისივე თქმით, ორგანული კანონი, ალბათ, წლის ბოლოსთვის იქნება მზად, პროექტი არსებობს და მიმდინარეობს მჯელობა.

თევზაძემ თანამდებობა კენჭისყრით გაინაღდა

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ 11 ხმით ლევან თევზაძე დაამტკიცა. გადაწყვეტილება იუსტიციის საბჭომ კენჭისყრის შედეგად მიიღო.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია ანა დოლიძეს. მისი თქმით, მსგავსი კენჭისყრა არ ეკადრება იუსტიციის საბჭოს, რადგან არ არსებობს თავმჯდომარის შერჩევის პროცედურა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო, თუმცა არცერთი კანდიდატისთვის მხარი არ დაუჭერია საბჭოს კიდევ ერთ არამოსამართლე წევრს ნაზი ჯანეზაშვილს.

გვარის შეცვლის მსურველებს მიზეზის დასაბუთება მოუწევთ

გვარის შეცვლის მეტისმეტად ლიბერალური პოლიტიკა ზომიერად მკაცრი პოლიტიკით **უნდა შეიცვალოს,** — ამის შესახებ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ბარამიძემ განაცხადა.

მისი თქმით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გვარის შეცვლა არავის შეეძლება. თუმცა, გვარს ვერ შეიცვლის ძებნილი პირი, ასევე, გვარის შეცვლის მსურველი თავად უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში და მიზეზი დაასაბუთოს.

„ამ მიმართულებით არსებული მეტისმეტად ლიბერალური პოლიტიკა ზომიერად მკაცრი პოლიტიკით უნდა შეიცვალოს. მაგალითად იმით, რომ პირს არ შეეძლება შეიცვალოს გვარი იმ პირობებში, როდესაც ძებნილია, მათ შორის, ინტერპოლის არხებით. ასევე, პირს დასჭირდება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, აუცილებლად თავად გამოცხადდეს და არა წარმომადგენლის მეშვეობით. საზღვარგარეთ მყოფ პირს, რა თქმა უნდა, საკონსულოში კვლავაც ექნება უფლება, შეიტანოს განცხადება გვარის შეცვლის თაობაზე, მაგრამ როდესაც საქმე მიდგება უშუალოდ გადაწყვეტილების მიღებაზე, ის აუცილებლად უნდა ჩამოვიდეს საქართველოში და სახელმწიფო სერვისების განვითარების საგენტოში გამოცხადდეს. დაასაბუთოს რაში და რატომ დასჭირდა გვარის შეცვლა“, — განაცხადა ალექსანდრე ბარამიძემ.

იუსტიციის მინისტრის მოადგილე მიიჩნევს, რომ მსგავსი პროცედურების გართულებით, ლიბერალური რეჟიმი, რაც ევროპელი კოლეგების შეშფოთების ერთ-ერთი საგანი იყო, უნდა შეიცვალოს. ერთ-ერთი კი, გვარის შეცვლის რეჟიმში ცვლილებებია.

ვანისა და ხონის საარჩევნო ოლქში შუალედური არჩევნები 28 აპრილს გაიმართება

ვანისა და ხონის №54 საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები 2018 წლის 28 აპრილს გაიმართება.

ვანისა და ხონის მაჟორიტარულ ოლქში შუალედური არჩევნების ჩატარების მიზეზი არჩეული დეპუტატის გრიგოლ ლილუაშვილის მიერ პარლამენტის დატოვება გახდა.

ლილუაშვილმა 2017 წლის დეკემბერში წლის დეკემბერში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობა დაიკავა.

რაც შეეხება კანდიდატებს, ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ „ევროპული საქართველოს“ კანდიდატი. გიგი უგულავამ ამის შესახებ პარტიის რიგგარეშე ყრილობაზე განაცხადა.

გამგებელმა მისი ოჯახის კუთვნილი ავტომობილები გამგეობას მიაქირავა

აუდიტის დასკვნის მიხედვით, **ლანჩხუთის ყოფილმა გამგებელმა ზაზა ურუშაძემ საკუთარი ავტომობილები პირადი მოხმარებისთვის გამგეობას მიაქირავა. საქმე ეხება 2015-2016 წლების პერიოდს.**

ირკვევა, რომ ლანჩხუთის იმდროინდელმა გამგებელმა და მისმა მამამ საიჯარო ხელშეკრულებები გააფორმეს მუნიციპალიტეტთან, რომლის საფუძველზე გამგებლის ოჯახის კუთვნილი ორი ავტომობილი გამგეობის სარგებლობაში მოექცა. ორივე ამ ავტომობილით თავად გამგებელი ზაზა ურუშაძე სარგებლობდა, ანუ ირკვევა, რომ გამგებელმა მუნიციპალიტეტს პირადი სარგებლობისთვის მისივე კუთვნილი ავტომობილები აქირავებინა. დასკვნაში წერია:

„2015-2016 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გარდა, საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად იყენებდა კერძო პირებისგან იჯარით აყვანილ ავტომობილებს. კერძოდ, მუნიციპალიტეტის გამგებელი სარგებლობდა ორი ავტომობილით, რაზეც გაფორმებულია საიჯარო ხელშეკრულებები. აქედან ერთი ავტომობილი გამგებლის (ზაზა ურუშაძე) საკუთრებაა, ხოლო მეორე ხელშეკრულება გაფორმებულია მუნიციპალიტეტსა და ფ/პ ილია ურუშაძეს (გამგებლის მამა) შორის. იჯარის პირობების მიხედვით, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალების მოვლა-პატრონობის ხარჯებს. კანონმდებლობის თანახმად, თანამდებობის პირს უფლება არ აქვს, ქონებრივი გარიგება დადოს იმ სახაზინო დაწესებულებასთან, რომელშიც მას თანამდებობა უჭირავს. შესაბამისად, აღნიშნული საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმებით დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები“, — ნათქვამია აუდიტის დასკვნაში.

აუდიტის დასკვნის მიხედვით, გამგებელი საბიუჯეტო ფულით საკუთარ ავტომობილებზე ცვლიდა საბურავებს, ზეთს, ანტიფრიზს და ა.შ.

აუდიტის დასკვნის მიხედვით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული იყო 6 ავტომანქანა, თუმცა 2015 წელს სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 7 ერთეული ავტომანქანით, ხოლო 2016 წელს — 8 ავტომანქანით. აღნიშნული ავტომანქანების ექსპლოატაციისთვის, მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული საწვავის მოხმარების ლიმიტების შესაბამისად, 2015-2016 წლებში დახარჯულია 172,1 ათასი ლარი.

ალიყური!

ოპოზიციის ფანტომური ტკივილი

მედიცინაში არსებობს ასეთი სინდრომი — „ფანტომური ტკივილი“ (fantom-მოჩვენება), როდესაც ადამიანს სხეულის რომელიმე ნაწილი აკლია (მაგალითად, ხელი, ქვემო კიდური და სხვ.), მაგრამ ეს ნაწილი მაინც სტკივა, აწუხებს, მოსვენებას არ აძლევს. შეიძლება თქმა, ასეთივე ანალოგიურ მოვლენას აქვს ადგილი ჩვენი ოპოზიციური პარტიების ზოგიერთ შემთხვევაში, კერძოდ, წინათ, როდესაც მათი ყველაზე შემაწუხებელი და ძლიერი ტკივილის მიზეზი იყო ივანიშვილი — ეს გასაგებია, ხოლო ახლა, მიუხედავად მისი პოლიტიკიდან წასვლისა (ერთ წელზე მეტია, არ გამოჩენილა), ეს ტკივილი ისევე ძველებურად აწუხებთ ამ პარტიებს და მოსვენებას არ აძლევს, რამაც საბოლოოდ ფანტომური ხასიათი მიიღო.

პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ სინდრომის მკურნალობა მეტად რთულია, რამდენადაც ტკივილის მექანიზმი ადამიანის ტვინშია ლოკალიზებული, ხოლო მიზეზი, როგორც ცნობლია, ივანიშვილის **მართალი სიტყვა** იყო. თავის მხრივ, ამ მიზეზის წინააღმდეგ ბრძოლა იმ მეთოდებით, ოპოზიცია რომ მიმართავს: ცილისწამება, სიცრუე, ლანძღვა და სხვა უმსგავსოებები — სრულიად არასწორი და უპერსპექტივოა. ერთადერთი მეთოდი ამ სინდრომის სამკურნალოდ, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, ისევ ივანიშვილის მეთოდი — **მართალი სიტყვაა!**

გონდო ქობულია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

წინა პუბლიკაციის შესავალს ვიმეორებ: რამდენიმე ისტორიას გავიხსენებ და ამ მოგონებებს გავაერთიანებ ერთ რუბრიკაში საერთო სათაურით: „ახლა მე ცეკაში ვარ?!“

ამ ფრაზის ავტორი მე არ გახლავართ. მისი ავტორი ერთი ცნობილი მეცნიერი, მრავლისმნახველი მოღვაწე გახლდათ. იგივე „წამოსცდა“ მეორე „სტუმარსაც“, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წამყვან მოხელეს, როცა ვაცნობე მისი სასაუბროდ მოწვევის მიზეზი. მისთვისაც იმდენად მოულოდნელი იყო ის საქმე, რაც შევთავაზეთ, რომ გაოგნებულს წამოსცდა იგივე ფრაზა, რაც რამდენიმე წლით ადრე სხვას. მესამე ისტორიაში კი ეს ფრაზა მე წარმოვთქვი რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელთან პირისპირ დარჩენილმა...

პირველი ისტორია ბატონ ალექსანდრე ღლონტის სიბრძნესა და რაინდობას ეხება.

ახლა, ისტორია მეორე: რა საერთო ჰქონდა კომპარტიის ცეკას... „ბიბლიასთან“?

რა საერთო ჰქონდა კომპარტიის ცეკას... „ბიბლიასთან“?

ახლა მე ცეკაში ვარ?!

ისე წავიდა ჩემი ცხოვრება, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინტრონიზაციის შემდეგ, მას არცთუ იშვიათად ვსტუმრობდი. ეს ის პერიოდია, როცა ოფიციალური ურთიერთობები ეკლესიასთან არამცთუ წახალისდებოდა, არამედ მიუღებელიც გახლდათ და, ზოგჯერ, მიწევდა კიდეც „ზემოთ“ თავის მართლება და ახსნა-განმარტების მიცემა სტუმრობის მიზეზებთან დაკავშირებით. განსაკუთრებულ ინტერესს, რა თქმა უნდა, უშიშროება იჩენდა და რელიგიის საქმეთა სახელმწიფო რწმუნებული (რომელიც უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ძმა გახლდათ) და მისი მოადგილე (უშიშროების ოფიცერი) ასე ადვილად „საყვედურებს“ ვერ მიბედავდნენ ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარეს, მაგრამ მომენტს არ უშვებდნენ, რომ სადაც ჯერ არს არ „დაეჩივლათ“ ამ სტუმრობასა და კონტაქტებთან დაკავშირებით ჩემგან მიღებული „ინფორმაციის“ მეტისმეტად სიმწირეზე. მაინდამაინც სასიამოვნო ეს „ჩაშვებები“, რა თქმა უნდა, არ გახლდათ.

პატრიარქს აინტერესებდა ჩვენს არქივებში დაცული და ეკლესიასთან დაკავშირებული რადიო-ტელეჩანაწერები და, რა თქმა უნდა, სიამოვნებით ვაკმაყოფილებდით მის ინტერესსა და სურვილებს. ეს გულწრფელი მონდომება უპასუხოდ არ რჩებოდა და უწმინდესისგანაც ვგრძნობდით სითბოს, უფრო მეტიც, გარკვეულ შინაურულ დამოკიდებულებას.

1986 წლის დასაწყისში ტელერადიოდან ცეკას პროპაგანდის განყოფილების ხელმძღვანელად გადამიყვანეს და, მაშინდელი რეალობების გათვალისწინებით, ჩემს საკურატორო სფეროშიც აღმოჩნდა რელიგიის საკითხები, ანუ რელიგიის სახელმწიფო რწმუნებული ვალდებული იყო „რაღაც-რაღაცები“ უშუალოდ ჩემთან შეეთანხმებინა. ამას დაუმატეთ ადრეული პირადი კონტაქტები და... უკვე „ვიღაც-ვიღაცებისთვის“ გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო საპატრიარქოსთან გახშირებული სატელეფონო კონტაქტები და არცთუ იშვიათი შეხვედრები ცეკასა თუ საპატრიარქოში. „პერესტროიკა“ ძალაში შედიოდა და თავისუფალი ფიქრისა და მოქმედების არეალი თანდათანობით იზრდებოდა, მათ შორის, ეკლესიასთან ურთიერთობაშიც. ობიექტურობისთვის ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი ყველაფერ ამას რეალურად აფასებდა და გარკვეული სიმპათიებითაც უცქერდა.

ასე დაწვრილებით ამ მომენტს იმიტომ აღვწერ, რომ მკითხველს, განსაკუთრებით ახალ თაობას, არ გაუკვირდეს ის კონკრეტული ფაქტი, რაც დღეს მეტისმეტად გაიოლებულია და რის გამოც ეს მოგონება იწერება...

...პატრიარქმა ცეკაში შეხვედრის სურვილი გამოთქვა და ჩემი შეთავაზება, რომ თავად ვესტუმრებოდი მას, უარყო. რა თქმა უნდა, დავხვდით ისე, როგორც ერის სულიერ მოძღვარს ეკადრებოდა. ბევრი საჭირბოროტო საკითხი განვიხილეთ. აშკარად კმაყოფილი ჩანს. შეხვედრის ბოლოს კი მეუბნება, რომ არის ერთი პრობლემა, რომლის გადაჭრასაც რეალობიდან გამომდინარე ამ ეტაპზე პერსპექტივა, ალბათ, არა აქვს, მაგრამ... აი, თუ შენ პირადად(!!!) მოინდომებ, შესაძლოა, ხმაურის გარეშე გადაწყდესო. დააკონკრეტა: ამ საუკუნეში „ბიბლია“ მშობლიურ ენაზე საქართველოში არ დაბეჭდილა. ჩვენ შვედეთში, „ბიბლიის“ საერთაშორისო ცენტრზე ვართ დამოკიდებული. იმათ თავიანთი გეგმები, მიზნები, შეხედულებები აქვთ და... ერთი სიტყვით, ამ საქმეს მოვლა-პატრონობა სჭირდება და, ეგებ, ითავოთო...

შევთანხმდით: ეს საკითხი არავისთან (არც „ზემოთ“ და არც „ქვემოთ“) არ უნდა დაგვეყენებინა, უხერხულ დღეში ჩავაგდებდით და ხმაური მხოლოდ ხელს შეგვიშლიდა.

ორი ძირითადი საკითხი: ტექსტი გამოსაცემად საპატრიარქოს უნდა მოემზადებინა, ხოლო ქაღალდის, ანუ მთავარი პრობლემის გადაჭრა, გამომცემლობისა და სტამბის საკითხები ჩემი „სატკივარი“ უნდა ყოფილიყო. პატრიარქმა სურვილი გამოთქვა, რომ გამოცემის ფორმატი ყოფილიყო უნიკალური(!!!), ანუ აქამდე, საუკუნეების მანძილზე „გამოცემული წიგნებისგან“ განსხვავებული სიდიდის...

ახლა მცირეოდენი გადახვევა: ახალი თაობისთვის ცოტა გაუგებარი შეიძლება აღმოჩნდეს ამ „სიძნელეებზე“ საუბარი. უბრალოდ, შევახსენებ მას, რომ საუბარია 30 წლის წინანდელ ვითარებაზე, სსრ კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნის ეპოქაზე, კომუნისტური პარტიის მმართველობაზე, პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინაზე, გეგმურ რესურსებზე...

ქაღალდი, მით უმეტეს — საგამომცემლო, სტრატეგიული(!!!) რესურსი გახლდათ და მისი აღრიცხვიანობა, განაწილება-შენახვა განსაკუთრებულ(!!!), მათ შორის, უშიშროების კონტროლს ექვემდებარებოდა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს (რომელიც იღებდა და ანაწილებდა მას) ერთი „გრამის“ გაცემის უფლება არ პქონდა ცეკას ნებართვის გარეშე, ცეკაში კი ამ სფეროზე პერსონალურად პასუხს აგებდა პროპაგანდის განყოფილების გამგე.

...საგეგმო კომიტეტში ქაღალდის რესურსის პრობლემატიკას ვინც განაგებდა, იმ მოხელესთან მუდმივი კავშირი პქონდა ჩვენს განყოფილებას. იცვლებოდნენ ცეკას მდივნები, განყოფილების გამგეები, მაგრამ არ იცვლებოდა სწორედ ის მოხელე — საგეგმო კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი, რომელიც ამ საქმეს ათეული წლები განაგებდა და არა მარტო საქართველოში, მთელი საბჭოთა კავშირის ქაღალდის მრეწველობის ობიექტებთან, მათ ხელმძღვანელებთან პქონდა უმჭიდროესი კავშირი, ბევრთან მეგობრობდა და... სწორედ ეს კაცი მოვიწვიეთ სასაუბროდ. ეს ვიზიტი მისთვის ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, რამეთუ კვარტალში ერთხელ ისედაც გვიწევდა კორექტირება, რესურსების ოპერატული „გადაადგილება“... ის მომზადებული მოვიდა და ყველა ჩემს შეკითხვაზე პასუხი არგუმენტებით, ციფრებით, რეალობის და პერსპექტივის „დახატვით“ შემომაგება. აშკარაა, საქმისა და ვითარების ღრმად მცოდნე პროფესიონალია, წვრილმანებშიაც კი ფლობს ინფორმაციას და რეალობას.

არც ჩვენ დავხვდით მოუმზადებელი. პატრიარქის სურვილისა და მოსაზრებების გათვალისწინებით დაანგარიშებული გვაქვს გამოცემის ხარჯები, რესურსი და... 5 ტონა ქაღალდი გვჭირდება, რომ იმ ფორმატით გამოვცეთ ერთი-ორი ათასი ეგზემპლარი.

ნელ-ნელა ვუახლოვდები ძირითად, ანუ „უხერხულ“ თემას. ვეუბნები, რომ 5 ტონა თეთრი, საგამომცემლო, მაღალხარისხოვანი ქაღალდი მჭირდება. თანაც აქცენტს ვაკეთებ არა კოლექტიურ „გვჭირდებაზე“, არამედ პერსონალურ „მჭირდებაზე“. მიპასუხა: თქვენ ხელში არ არის ამ რესურსის განაწილება-მოხმარების გასაღებიო? მითხარით, ვის ჩამოვაჭრათ, ვის დავუმატოთ და... მეცინება. არა, ეგრე არ მინდა-მეთქი. 5 ტონა ისე უნდა მიშოვო, რომ არავის არაფერი ჩამოვაჭრათ და... არც არავინ უნდა გაიგოს, სად და რატომ წავიდა ეს ქაღალდი!

ვერ მიხვდა. ერთი რამ კარგად იცის, სადმე რომ ერთი ტონა „ლევად“ წავიდეს და გავიგოთ, უმკაცრეს პასუხს მოსთხოვს სწორედ ცეკა, სწორედ ჩვენი განყოფილება და... ახლა, სწორედ ამ ცეკაში, სწორედ კურატორი ეუბნება, რომ 5 ტონა ქაღალდი „ლევად“ უნდა იშოვოს და...

ორივე ვდუმვართ. ერთმანეთს შევცქერით. ის ცოტა გაოგნებული, მე ეშმაკური ღიმილით.

ის იმაზე ფიქრობს, რა ხდება, რაში სჭირდება ცეკას ეს „საიდუმლო თამაში“, თანაც ხვდება, რომ უარი არ უნდა მითხრას, ხვალინდელ დღეზეც ფიქრობს... მე კი ჩემს თავს ვეჭიდავები, გავენდო თუ არა... რაც არის არის, უნდა გამოვუტყდე: ეს ქაღალდი ისე „შეუმჩნევლად“ უნდა გამოიყოს, მამაზეციერმა ვერ აღმოაჩინოს მისი კვალი. და თუ „საიდუმლო“ გასკდება, მე შენ მარტო არ დაგტოვებ და ყველაფერს საკუთარ თავზე ავიღებ-მეთქი... მოვუყევი პატრიარქის ვიზიტზე და გავენდე, რომ ამ რესურსით ამ საუკუნეში პირველად „ბიბლია“ უნდა დავბეჭდოთ ქართულად, ამის შესახებ არც შენმა უფროსებმა უნდა იცოდნენ რამე, ისევე, როგორც არც აქ მინდა ვინმე უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო-მეთქი.

გაოცებული მიყურებს. არ არის ახალგაზრდა, 50-ს გადაცილებული, გამოცდილი, ცხოვრებაგამოვლილი კაცია. უკვე ყველაფერს მიხვდა. მითხრა, ორი დღე მაცალეთ, რაღაცებს „მოვტვინავ“, პარტნიორ ქარხნებთან გადავრეკავ და...

კარამდე მივაცილე, ხელი მაგრად ჩამოვართვი და ღიმილით, გულწრფელი კმაყოფილებით ვეუბნები: ახლა ორივე „შეთქმულთა ბანაკში“ ვართ-მეთქი... მიპასუხა: ოც წელზე მეტია, ამ საქმეს ვემსახურები, ამ ხნის მანძილზე ბევრი ხელმძღვანელი გამოვიცვალე, მაგრამ არ მეგონა, თუ ასეთ საქმეზე მომიწევდა აქ საუბარი, — ღიმილით დაასრულა, — ჰოდა, გამარკვიეთ, ახლა, მე ხომ ნამდვილად ცეკაში ვიმყოფები?!

ორივეს გულიანად გაგვეცინა, დავამშვიდე: ცეკაში კი ხარ, ოღონდ, ეს ის ცეკა აღარ არის, შენ რომ დიდი ხნის წინათ დადიოდი. სხვა დრო დადგა, სხვა თაობები მოვიდნენ-მეთქი, სხვა მენტალიტეტით, გაბედულებით...

...ორი დღის შემდეგ ზარი საგეგმო კომიტეტიდან: ხუთი ტონა ქაღალდის პრობლემა აღარ იდარდოთ, თვის ბოლოს რა მისამართზეც მეტყვით, იქ გადაიტვირთებაო...

გახარებული ვურეკავ პატრიარქს, მოვუყევი, ვინ და როგორ გადაწყვიტა პრობლემა და... ხომ არ შეიძლება შევხვდე და პირადად გადავუხადო მადლობაო... პირობა მივეცი, რომ ამ ვიზიტს რაღაც ფორმით მოვაგვარებდი...

გადის დაახლოებით ორი კვირა და ისევ ზარი საგეგმო კომიტეტიდან — „შეთქმულების“ მეორე მონაწილე შეხვედრას მთხოვს. მოვიდა. თვალები ეშმაკურად უბრწყინავს: 25 ტონა ქაღალდი ვიშოვე და უკვე შეგიძლიათ, სერიოზულ ტირაჟზე იფიქროთო. გადავეხვიე. ვეცი ტელეფონს, მინდა, პატრიარქი გავახარო, იქიდან გასაოცარი რეაქცია: ბიჭო, რაიმე უსიამოვნებას არ გადაეყაროთ შენ და ეგ ღვთისნიერი კაციო...

ამ ღვთისნიერმა კაცმა კი გამომშვიდობებისას ისეთი რამ მითხრა, რომ სწორედ მის საპასუხოდ დაიწერა ეს მოგონება: „ჩემს ცხოვრებაში არ დაგივიწყებთ იმ მადლს, თქვენ რომ ამ დიდებული საქმის მონაწილე გამხადეთო“. არც მე მავიწყდება მისი როლი, მისი გაბედულება, მისი უანგარობა, მისი რაინდობა...

საპატრიარქოს მაშინ გამოცემის უფლება არ ჰქონდა. ბეჭდვითი სიტყვის და გამომცემლობების სახელმწიფო კომიტეტს შევუთანხმდი, რომ „ბიბლიას“ როგორც სასწავლო ლიტერატურას, გამომცემლობა „განათლება“ დასტამბავდა და ის 25-ს პლუს 5 ტონა ქაღალდი საპატრიარქოს სახელით მას გადაეცემოდა. არც ეს გადაწყვეტილება იყო ადვილად მისაღები, იმიტომ, რომ ამ სტრუქტურაშიც ზოგიერთი ხელმძღვანელი თავის სკამს უფრთხილდებოდა, უყვარდა სირბილი მაშინდელ სუს-ში და მისთვის და ზოგიერთი მისი „თანამოაზრისთვის“ „ხელების გადაგრეხის“ მეთოდი რომ არ გამოგვეყენებინა, სერიოზულ უსიამოვნებას წავაწყდებოდით.

ყველაფერი ეს ხდება 1987 წლის ივნისში.

ერთ თვეში ცეკადან მეც გადამიყვანეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორად და მისვლისთანვე რაც ამ გაზეთის ისტორიაში გავაკეთე, პირველად დავბეჭდე დიდი ინტერვიუ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან. კომპარტიის ორგანოში პატრიარქის ინტერვიუ ბომბივით აფეთქდა და... პირველად სწორედ იმ დროს გაჟღერდა ახალი „ბიბლიის“ დასტამბვის იდეა-სურვილი.

„ბიბლიის“ ტექსტზე მუშაობას საპატრიარქო აგრძელებდა, საქმის კურსში ვიყავი. მაშინაც და შემდგომშიც, როცა ცეკას მდივნად ამირჩიეს და როცა კიდევ უფრო მჭიდრო გახდა საპატრიარქოსთან თანამშრომლობა, თხოვნებმა იმატა, ურთიერთვიზიტებმაც და, გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ ჩვენი მხრიდანაც მხარდაჭერას წინ არაფერი ედგა. ზემოთაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: ამ მხრივ ჯუმბერ პატიაშვილთან სასაყვედურო არაფერი მაქვს.

9 აპრილის მოვლენებმა ქვეყნად ვითარება ყოველნაირად შეცვალა, დაიწყო დოღი: „ვიღაც-ვიღაცები“ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლანძღვა-გინებაში, თავიანთი ცოდვების ყოფილ ხელმძღვანელებზე გადაბრალებაში. ამ „შეჯიბრის“ მიღმა ვერც „ბიბლიის“ გამოცემის საქმე დარჩა. სახელმწიფო კომიტეტმა მოგვიანებით გააფორმა თითქმის ბოლომდე მიყვანილი საქმე. უფრო მეტი: გაზეთებში გამოქვეყნდა ერთი-ორი პასკვილი, თუ როგორ უშლიდა, თურმე, ხელს „მაშინდელი“ ცეკა წმინდა წიგნის გამოცემას და ამ პასკვილების ავტორები სწორედ ისინი იყვნენ, ვისაც „მუშტით“ ვაიძულებდი ამ საქმის ბოლომდე მიყვანას, ვინც უშიშროებაში დაწერა „დანოსი“ იმის თაობაზე, თუ როგორ ვღალატობდი პარტიულ კურსს ეკლესიასთან ურთიერთობისას. ამ ხალხმა ცუდად დაამთავრა, ანუ ლოგიკურად!

იმ ჩვენი „შეთქმულების“ პროდუქტი კი მალე გამოვიდა და დღეს ბევრ ოჯახში ნახავთ დიდი ფორმატით დასტამბულ „ბიბლიას“.

...ამ რამდენიმე ხნის წინათ საპატრიარქოში ქვეყნის პირველ პირთა მონაწილეობით დიდი ზარ-ზეიმით მოეწყო „ბიბლიის“ განახლებული გამოცემის პრეზენტაცია. იყო ტაში, იყო მილოცვები, იყო ქება... და კაცს არ გახსენებია, რომ ეს ახალი გამოცემა პრაქტიკულად ასლია იმ „ჩვენი“ ნაოფლარი გამოცემისა. არადა, ამ ახალი გამოცემის ბოლო გვერდზე(!!!) შავით თეთრზე წერია სწორედ ის ძველი თარიღი: „ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.06.89“. არც ის ადამიანები გახსენებიათ, ვინც იმ დროს გარისკა, თავი არ დაზოგა, ყველაფერი იღონა ამ ისტორიული და საშვილიშვილო საქმის დასაგვირგვინებლად. არადა, საპატრიარქოში ისევ ის ხალხი განაგებს „რაღაც-რაღაცებს“, ვინც ახლა მაინც მშვენივრად იცის ისტორია.

უმადურობით დღეს საქართველოში ვერავის გააკვირვებ. აი, რაინდების, პატრიოტების და მოქალაქეების მოფერებით — კი! ჰოდა, სწორედ ამ გულწრფელ და ფაქიზ მიზანს ემსახურება ამ მოგონების გამოქვეყნება, რომლითაც პირადად მე, ვალი მოვიხადე ერთი ჭეშმარიტი მამულიშვილის, მართლა ნაღდი კაცის წინაშე, მისი კეთილი და პატრიოტული საქმისა გამო. მიუხედავად იმისა, რომ მისი კვალი დავკარგე, გვარ-სახელიც გამეგონა, დღემდე მადლიერი ვარ მისი.

ვეძებე კი, თურმე, საერთო მეგობრებიც გვყოლია და მათი მეშვეობით, მგონი, მივაგენი კიდეც: ბონდო ხოგელავა!



დაე, იამაყოს მან და მისმა ოჯახმა, შთამომავლობამ, სამეგობროს მისი რაინდობით!

ნუგზარ ფოფხაძე

აკაკი ნადარეიშვილი:

ჩემი ყველაზე დიდი ჯილდო განკურნებული პაციენტია

ქართული სამედიცინო მეცნიერების განვითარების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისთვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობისთვის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის, დევნილი საზოგადოების თანადგომისთვის საქართველოს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ულტრაბგერითი განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი **აკაკი ნადარეიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ამ შაბლონური ტექსტის მიღმა პროფესორის მთელი ცხოვრებაა თავმოყრილი. 2017 წლის ღირსების ორდენამდე იყო კიდევ ერთი ღირსების ორდენი 1999 წელს, სახელმწიფო პრემია 2004 წელს, საპატიო სიგელი და სხვა უამრავი ჯილდო.

ბატონი კოკა, როგორც მას შინ და გარეთ იცნობენ, დღეს იუბილარია. ასევე ნახევარ საუკუნეს ითვლის მისი სამედიცინო დარგში მოღვაწეობა. პროფესიონალიზმი, პატრიოტიზმი, კაცთმოყვარეობა, ზოგადად, რთული ფენომენია, თუმცა, ეს გრძნობები სრულიად ბუნებრივად ერწყმის პროფესორის თავმდაბლობას და იუმორის ხალას გრძნობას.

— გილოცავთ, ბატონო კოკა, და კიდევ მრავალ წელს ნაყოფიერ საქმიანობას გისურვებთ. უბრალოდ, თქვენნაირი ადამიანები ძალიან სჭირდებიან ქვეყანას.

— უღრმესი მადლობა, ძალიან გამახარეთ თქვენი სტუმრობით.

— 75-მდე დათვლაც კი დამღლელია, არა თუ 75 წელიწადის გავლა, თანაც სულ შრომითა და რუდუნებით.

— ისე გაიარა წლებმა, ვერც გავიგე. 1968 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და მას შემდეგ ექიმის რთულ პროფესიას ვემსახურები. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე.

— რატომღაც, თქვენი თაობის ექიმების დოსიეში ყოველთვის არის ჩანაწერი რუსეთში მოღვაწეობის თაობაზე, იქ დახელოვნება აუცილებელი იყო?

— დახელოვნება აუცილებელი იყო, ხოლო ქვეყნის არჩევის ფუფუნება ნამდვილად არ გვქონდა. ამიტომაც ჯერ კიევის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში გავიარე სპეციალიზაცია, შემდეგ მოსკოვის ი. სეჩენოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის უროლოგიის კათედრაზე — კლინიკური ორდინატურის კურსი...

— უროლოგია თქვენი არჩევნი იყო?

— დიახ, ჩემი არჩევანი იყო. უფროსი ძმა — გივი, ექიმი იყო და ამანაც განაპირობა ერთგვარად... ისე, გეოლოგობაზე ვოცნებობდი. მოგზაურობა მიყვარდა და ახლაც მიყვარს. დედა მეუბნებოდა, რთულია სამედიცინოზე ჩაბარება, შეეშვიო, თუმცა, ჯიუტად არ ვეთანხმებოდი. მაშინ ჩასაბარებლად აუცილებელი იყო მუშაობის სტაჟი. ამიტომაც საკონსერვო ქარხანაში მოვეწყვე, პარალელურად ღამის სკოლაში ვსწავლობდი, საბუღალტრო კურსები დავამთავრე...

— და ეს წლები მთლიანად აფხაზეთს უკავშირდება...

— ჩემი ცხოვრების ყველაზე უდარდელი წლები გუდაუთაში გავატარე. იქ დავიბადე და გავიზარდე. ორი ძმა მყავდა. მე ნაბოლარა ვიყავი. სამწუხაროდ, გივი რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა. ზაური კი თავისი ოჯახით თბილისში ცხოვრობს.

— პრინციპში, თქვენი მოღვაწეობა აფხაზეთში არც შემდგარა, თუ არ გავითვალისწინებთ სიდაში მუშაობის ორ წელიწადს.

— ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე ჩემს ფესვებს მოვწყდი. ვიცნობდი ყველას: ექიმსა თუ არაექიმს. ურთიერთობა მქონდა და დღემდე მაქვს ჩემი კუთხის აფხაზებთან, რუსებთან თუ ბერძნებთან, ახლაც მეპატიჟებიან აფხაზეთში, მაგრამ რისთვის ჩავიდე?! ჩემი გაპარტახებული სახლ-კარის სანახავად, სადაც დედაჩემმა წლები გაატარა, მათ შორის ომის შემდეგაც?! დედას ჩვენი მეგობარი აფხაზები უვლიდნენ. როცა ავადმყოფობამ დარია ხელი, თბილისში ჩამოვიყვანეთ. დედა აქ არის დასაფლავებული, მამაჩემი კი — გუდაუთაში. მამის საფლავს ჩვენი ნათესავი ქალბატონი უვლის, რომელიც იქ აფხაზზე არის დაქორწინებული. ჩემმა ძმისშვილებმა მითხრეს, აფხაზეთის კოსმოსიდან გადაღებულ სურათებს გაჩვენებთო, მაგრამ დათვალიერებაც კი არ მინდა (ტირის).

— ორ ათეულ წელზე მეტი დაჰყავით რუსეთში. ალბათ, არ იყო მარტივი იქ თავის დამკვიდრება?

— ცოდნის ასამაღლებლად წავედი, თუმცა, ჩემი მოღვაწეობის საუკეთესო წლების გატარება მომიწია მოსკოვში. ვმუშაობდი საკავშირო მნიშვნელობის სამეცნიერო ინსტიტუტში, რამაც უდიდესი გამოცდილება შემძინა. 1981 წლიდან ონკო-უროლოგიურ განყოფილებას ვხელმძღვანელობდი. 1985 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. ჩემს კარიერულ წინსვლაში უდიდესი წვლილი მიუძღვის აკადემიკოს იური პიტელს, რომელიც იყო საოცრად მკაცრი და მომთხოვნი, მაგრამ ასეთმა წრთობამ უდიდესი გამოცდილება შემძინა.

— ასე ვთქვათ, შესანატრი „ბეგრაუნდის“ მქონე სპეციალისტი უეცრად სამშობლოში ბრუნდება. ბატონო კოკა, რატომ მიიღეთ ასეთი უეცარი გადაწყვეტილება?

— წმინდა პატრიოტული მოტივით... გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი გახდა, თითქოს ჩვენთვისაც სხვა სიომ დაუბერა. გვეგონა, შედარებით მარტივი იქნებოდა თავისუფალი საქართველოს შენება. ჩემმა ცოლმა დაიჟინა, შვილები „გარუსდებიანო“. დედაც ყოველთვის წუხდა, მამაპაპისეულ სახლ-კარს ნუ მიატოვებთო. თუ აფხაზეთში არა, თბილისში მაინც გადმოდი საცხოვრებლადო. წამოსვლის თაობაზე ერთ საგულისყურო დეტალს მოგიყვებით. ჩემს უფროსთან ეს აზრი რომ ვთქვი, უფრო სწორად ძლივს ამოვღერღეთ მე და ლიკამ (ამის სათქმელად აგარაკზე ვესტუმრეთ), გაშრა კაცი, გადირია. მეორე დღეს მისი მეუღლე გვირეკავს და გვეუბნება — ეს რამ გადაგაწყვეტინათ, ამაზე ფიქრით მთელი ღამე თეთრად გავათენეთო... მოკლედ, უარი ვთქვით კარიერაზე (ჩემი მეუღლეც წარჩინებული გინეკოლოგი გახლავთ), გავცვალეთ ჩვენი ოთხოთახიანი ბინა, რომელიც წითელ მოედანთან ახლოს გვქონდა თბილისის ბინაზე და სამუდამოდ ჩამოვედით.

— არ ნანობთ?

— ახლა არა! მაგრამ თავიდან ძალიან შემეშინდა. გაპარტახებული ქვეყანა, უშუქობა, შიმშილი, ომი, თითქმის არანაირი პერსპექტივა არ ჩანდა... და ამ დროს შევხვდი ბატონ ფრიდონ თოდუას, რომელიც მეუბნება, რომ დიაგნოსტიკური ცენტრი უნდა გავხსნა და გვერდში ამომიდექითო...

— აქ გაიცანით ბატონი ფრიდონი?

— არა, არა. ჩვენ ერთმანეთი სტუდენტობის პირველივე დღეს გავიცანით. 1962 წლის 2 სექტემბერს, ორშაბათს. სანამ გარდაიცვლებოდა, შარშან დამიძახა და მეუბნება, ჩვენი მეგობრობის 55 წლისთავი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთო. სამწუხაროდ, არ დასცალდა.

— ალბათ, ამიტომაც ამბობდა თქვენზე განსაკუთრებულად ბატონი ფრიდონი — „თანამებრძოლი, ყველაზე მძიმე დროის გამზიარებელი — სწორედ ასეთია ჩემი კოლეგა, ჩემი მეგობარი, ბატონი აკაკი ნადარეიშვილი.

ოცდაერთი ვიყავით, დავბრუნდით ენთუზიაზმით აღსავსენი, შედარებით ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ყველა აღიარებული სპეციალისტი, სათანადო რეგალიების მქონენი. გვეგონა, ახალ შვეიცარიას ავაშენებდით. თუმცა ჩვენი ცხოვრება რეალური ოცნებების ნგრევა იყო — სამოქალაქო ომი, საყოველთაო ნიჰილიზმი, გაჩანაგებული ეკონომიკა. იმ ოცდაერთიდან ცხრამეტი უკან დაბრუნდა... დავრჩით მხოლოდ ორნი — მე და აკაკი ნადარეიშვილი და ჩვენ მხრებზე გადავიტანეთ იმ დროის ყველა უბედურება. სწორედ ის იდგა ჩემ გვერდით ჩემს ყველა წამოწყებაში“.

— როცა მანახა, როგორი გაპარტახებული იყო შენობა, სადაც ცენტრი უნდა გაგვეხსნა, დავიბენი, ამას როგორ შევძლებთ-მეთქი, მაგრამ მისმა შემართებამ, მიზანდასახულობამ, ალღომ და პროფესიონალიზმმა ყველაფერი შეგვაძლებინა. იმაზე ბევრად მეტი შევქმენით, ვიდრე მაშინ წარმომედგინა.

— დიახ. დღეს „თოდუას კლინიკა“ გუგუნებს და თავის საოცარ სიტყვას ამბობს ქართულ მედიცინაში. ჩვენს გაზეთში არაერთხელ გაგვიშუქებია ის ტექნოლოგიური მიღწევები და სიახლეები, ურომლებოდაც რადიოლოგია დღეს წარმოუდგენელია.

— თავს არ ვიქებ, მაგრამ ჩვენი ინსტიტუტი მართლაც არაფრით ჩამოუვარდება ევროპის წამყვან სამედიცინო დაწესებულებებს. ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის განყოფილება, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, აღჭურვილია უახლესი მოდელის ულტრაბგერითი აპარატებით. აქ წარმოებს ულტრაბგერითი გამოკვლევა, ტრანსაბდომინალური და რექტალური გადამწოდებით, ასევე დიაგნოზის დასადასტურებლად ტარდება პროსტატის ბიოფსია ულტრაბგერითი კონტროლის ქვეშ, რის შემდეგაც ხორციელდება მიზანმიმართული მკურნალობა, როგორც კონსერვატიული, ასევე ქირურგიული.

ბატონი ფრიდონი დიაგნოსტიკის ცენტრის შექმნის დღიდანვე ზრუნავდა ქვეყანაში და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ 1991 წლიდან დღმდე შეიქმნა პროფესიონალთა საამაყო გუნდი. 2000 წელს მომანიჭეს პროფესორის წოდება. პარალელურად ვეწევი სამეცნიერო საქმიანობას. ვარ 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, 10-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი. 2004 წლიდან ვმუშაობ სამედიცინო აკადემიის რადიოლოგიის კათედრაზე. ჩემი ხელმძღვანელობით ათმა რადიოლოგმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია. ვარ ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის წევრი, რა თქმა უნდა, საქართველოს ურროლოგთა ასოციაციის წევრი. 2004 წელს დამაჯილდოვეს სახელმწიფო პრემიით.

— როგორ აღიქვამთ ჯილდოებს?

— დაფასებაა და მიხარია, თორემ, სხვა მხრივ, არაფერს განსაკუთრებულს არ ვაკეთებ, ეს ჩემი პროფესიაა, ჩემი საყვარელი საქმეა და ვალდებულებაა. მთელი დღე დატვირთული ვარ, დილიდან საღამომდე პაციენტებთან მიწევს ურთიერთობა, ბუფეტშიც კი ვერ შევდივარ... ექიმი თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული უნდა იყოს და გულწრფელად აღიქვამდეს პაციენტის ტკივილს. უნდა მოუსმინოს, დაუყვავოს, იმედი გაუღვივოს, მისცეს რჩევა-დარიგება. კონტაქტში შესვლით უფრო დამაჯერებელი ხდება ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა და მკურნალობაც გაცილებით ეფექტიან სახეს იღებს. ხომ იცით, ჯერ სული იკურნება, შემდეგ სხეულიო. პაციენტისთვის თანაგრძნობა მნიშვნელოვანია. ჩემი ყველაზე დიდი სიხარული განკურნებული პაციენტია. როცა ანალიზის პასუხი ნორმალურია, მიხარია. ეს თქვენი დამსახურებაა, ექიმო, როცა ამბობს პაციენტი, ჩემს გულს მალამოდ ედება, ყველა მწუხარება მავიწყდება...

— მწუხარებას, რა თქმა უნდა, თქვენი ორი ვაჟიშვილის ტრაგიკული ბედი იწვევს თქვენში...

— დიახ. ეს არის ჩემი და ჩემი მეუღლის მოუშუშებელი იარა.

— თქვენი მეუღლე, ქალბატონი ლიკა ნადარეიშვილიც მედიცინის დოქტორია. სად გაიცანით ეს ულამაზესი ექიმი?

— სოხუმში გავიცანით ერთმანეთი, ზაფხულში. მალევე დავქორწინდით. ქორწილი გადავიხადეთ გუდაუთაში, მერე ოჩამჩირეში (ლიკას სახლში) და მოსკოვშიც. ძალიან კარგი გოგო იყო. დანახვისთანავე მომეწონა, თუმცა, მეც არ ვიყავი ურიგო ჭაბუკი (იცინის).

— რომანტიკული იყავით?

— ვიყავი. მაგრამ ახლა... ახლა არ მცალია!

ისტორიას ადამიანები ქმნიან. მათ შორის ისეთი ღირსეულები, როგორიც პროფესორი კოკა ნადარეიშვილია. ამიტომაც 75 წელიწადი, ღმერთმანი, ძალიან ცოტაა, ძალიან ცოტა, როცა წინ ამხელა ასპარეზია — კიდევ ბევრი ადამიანის სიცოცხლეა გადასარჩენი!..

თეა მოსია

რატომ დაუპირისპირდნენ მოსამართლეები ერთმანეთს?

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე თანახმაა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეხვდეს მოსამართლე ირაკლი შავაძეს და ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს დავით მამისეიშვილს და ინფორმაცია მოისმინოს მათ შორის შესაძლო დაპირისპირების თაობაზე. განცხადება მუქაუტაძემ საბჭოს გუშინდელ სხდომაზე გააკეთა.

„ჩემთან კომუნიკაცია პირადად ირაკლი შავაძეს არ ჰქონია, თუმცა ვფიქრობ, შესაძლებელია ამ საკითხის განხილვა, რასაც ნაზი ჯანეზაშვილი აყენებს. ვფიქრობ, შეგვიძლია, შევთანხმდეთ ერთ-ერთ დღეზე, თუმცა აქაც ძალიან სიფრთხილით მოგვიწევს მოქმედება, რადგან ეს არ დაემსგავსოს ზედმეტ ჩარევას იუსტიციის საბჭოს მხრიდან, თუნდაც მოსამართლის საქმიანობაში, თუნდაც იმ დისციპლინური საკითხების განხილვაში, რაც რეალურად ახალი რეგულაციებით განსხვავებულად აქვს მოწესრიგებული საბჭოს. შეხვედრის იდეას ვეთანხმები“, — განაცხადა მიქაუტაძემ.

საქართველო – შესანირად გამზადებული პაიკი!

პუბლიკაციების: ნუგზარ ფოფხაძე – „ბრავო, თედო ჯაფარიძე!“ და თედო ჯაფარიძე – „საქართველოს განსხვავებული ოპტიკის“ გამო



ისევე, როგორც ბატონი ნუგზარ ფოფხაძე იწყებს მისი მეგობრის, ერთ დროს ამერიკაში საქართველოს ელჩის, ამჟამად კი საგარეო ურთიერთობების საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩევლის, ბატონი თედო ჯაფარიძის წერილის („საქართველოს განსხვავებული ოპტიკა“) შეფასებას („ბრავო, თედო ჯაფარიძე!“), მეც პირადულით დავიწყებ.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ნუგზარს პირადად არ ვიცნობ, მისდამი ყოველთვის სიმპათიით ვიყავი განწყობილი. ამის მთავარი მიზეზი, ცხადია, მისი ობიექტურად და საინტერესოდ დაწერილი ბოლო წლების პუბლიკაციები იყო და, კიდევ – ჩემი მისდამი წინასწარი კეთილგანწყობა, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო იმით, რომ ძალიან დიდი ხნის წინათ, ყრმობის ასაკში, ბედნიერება მქონდა გამეცნო და ერთი ზაფხული მის უნიჭიერეს უფროს ძმასთან ერთად გამეტარებინა ბორჯომის ხეობაში.

ახლა კი მოდით, გულისყურით წავიკითხოთ ჯაფარიძის ეს **„კარასინის საპირწონედ“** თქმული, **„თანამდებობრივი და დიპლომატიური „მუხრუჭებით“ შეუზღუდავი“** და, თან **„გაბედული“** პუბლიკაცია, როგორც ბატონ ნუგზარს მიაჩნია, მართლა ასეთი უნაკლოა იგი?

მივყვეთ ტექსტს:

1. „თავს უფლებას ვაძლევ, გაგიზიაროთ მოსაზრებები რუსეთსა და საქართველოს შორის რთული, დაძაბული, ემოციური ურთიერთობების შესახებ... ნამდვილად არანაირი პრეტენზია არ მაქვს, რომ ეს საბოლოო ინსტანციის ჭეშმარიტებაა, უბრალოდ, ამის გაკეთება გავრისკე“.

რას ვერჩი ნუგზარ ფოფხაძეს, თურმე, თავად ავტორი თვლის, რომ ამ წერილით იგი რისკზე მიდის. თუ რა რისკზე, ამას, იქნებ, გზადაგზა მივხვდეთ.

2. „წელს ტრაგიკული მოვლენის წლისთავი აღინიშნება – ათი წელი რუსეთ-საქართველოს ომიდან, რომელსაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთი) ოკუპაცია და რუსეთის მხრიდან მათი აღიარება მოჰყვა“.

2008 წლის 8 აგვისტოს სააკაშვილის მიერ წამოწყებულ საბრძოლო მოქმედებებს და მეორე დღეს რუსეთის შემოჭრას საქართველოში, ოფიციალურად ეწოდება „2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი საქართველოში“, და არა – რუსეთ-საქართველოს ომი. როდის იხმარება ტერმინი „კონფლიქტი“ და როდის – „ომი“, ამის განმარტებას არ შევუდგები, ეს უხერხულიც კი იქნება ჩემი მხრიდან.

3. „ჩვენ ჩვენი პასუხისმგებლობით მომავალი თაობების წინაშე, უნდა შევეცადოთ და შეხების წერტილები გამოვნახოთ იქ, სადაც ეს შესაძლებელია“. „პოზიტიური დინამიკის შექმნაში უნდა ჩაერთონ სხვა ქვეყნებიც – აშშ, ევროპის სახელმწიფოები, ჩინეთი, ინდოეთი“.

განა შეერთებული შტატები, ევროპას და სხვებს თავი რომ დავანებოთ, ჩართული არ არის? ჩართულია და, თანაც, როგორ! ვინ დაიჯერებს, რომ ავტორს აღარ ახსოვს რუსეთის პრეზიდენტის შემონათვალი ახლადარჩეული საქართველოს პრეზიდენტისთვის მასთან შეხვედრის მზადყოფნის თაობაზე და მარგველაშვილის სამარცხვინო პასუხი: ჯერ ჩვენ პარტნიორებს (ცხადია, აშშ-ს, პირველ რიგში, – ი.ლ.) დავეკითხები და მერე გადავწყვეტო! ამით მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა ის, რაც ყველამ კარგად ვიცოდით, ანუ, თუ როგორი „დამოუკიდებლები“ და თანასწორუფლებიანი „პარტნიორები“ ვართ ჩვენ და ამერიკა. „ჩვენ ჩვენი პასუხისმგებლობით მომავალი თაობების წინაშე“, მხოლოდ სხვის იმედად მყოფებმა, ერთხელ მაინც შევეცადეთ „შეხების წერტილების“ გამონახვას 10 წლის მანძილზე?

4. „თავად რუსეთისთვისაც გაცილებით მომგებიანია საქართველოში განათავსოს ბანკები და არა ტანკები. ორივე მათგანის ერთმანეთთან შეთავსება კონტრპროდუქტიულია“.

ნაწილობრივ ვეთანხმები ავტორს, მაგრამ გააჩნია, თუ რა მიზნითაა განთავსებული ბანკებიც და ტანკებიც – ხალხის საყვლეფად და ხელისუფლების დასაშინებლად, თუ პირიქით – დასახმარებლად. მაგრამ, ამასთანავე, თუკი რუსეთის მხრიდან ტანკების განთავსება იმ მოსაზღვრე სახელმწიფოში, რომელიც მას „ნატოს“ რაკეტების განლაგებით ემუქრება, კონტრპროდუქტიულია, მაშინ „პარტნიორი“ ამერიკის მიერ მთელ(!) მსოფლიოში სამხედრო ბაზების და რაკეტების განთავსება პროდუქტიულად როგორღა უნდა მივიჩნიოთ? ცოტა არ იყოს, წინააღმდეგობაში ხომ არ ვვარდებით და ორმაგ სტანდარტებთან ხომ არ გვაქვს საქმე?!

5. „აშშ სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა განაცხადა: „აშშ-ის მოკავშირეები და პარტნიორები, დიდი თუ მცირე, ვაშინგტონისაგან რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას ითხოვენ, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ცუდი ურთიერთობები მათ მდგომარეობას გააუარესებს“.

დიდი მიამიტობაა, ხედავდე, თუ როგორ ამწვავებს თავად ვაშინგტონი ურთიერთობას რუსეთთან, როგორ ავალდებულებს ყველა სახელმწიფოს რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებთან მიერთებას, როგორ აუარესებს ამით მისი ყველა(!) მოკავშირისა და პარტნიორის მდგომარეობას (მათი თხოვნის მიუხედავად!) და, იმავდროულად, მაინც გჯეროდეს, რომ მას, რატომღაც, მხოლოდ(!) ჩვენსა და რუსეთს შორის სურს ნორმალური ურთიერთობების აღდგენა.

6. „საქართველო არ გადაუხვევს მისი ხალხის მიერ არჩეულ გზას, უარს არ იტყვის სტრატეგიულ მიზნებზე და არავითარ შემთხვევაში დიდ გეოპოლიტიკურ თამაშებში „გასაცვლელ პაიკად“ არ იქცევა“.

თავი რომ დავანებოთ „ხალხის მიერ არჩეულ გზას“, რომლის გაგებაც რეფერენდუმის(!) გზით არა და არ სურს არც ახალ ხელისუფლებას, საქართველო „გასაცვლელ პაიკად“ არ იქცევაო, რომ აცხადებს ავტორი, ახლა რა, ლაზიერი ვართ ან, თუნდაც, ეტლი ან მხედარი? ვერცერთი მათგანი პაიკად ვერ იქცევა, პაიკს კი ლაზიერში გასვლის შანსი(!) მაინც აქვს. სამწუხაროდ, დღესდღეობით პაიკიც აღარ ვართ, უფრო სწორად, შესაწირად გამზადებული პაიკი ვართ!

7. „ბოლო ათი წლის მანძილზე დღის წესრიგიდან არ გამქრალა ჩვენი ყველაზე მთავარი პრობლემა – ტერიტორიული მთლიანობის საკითხი“.

ეს რომელი დღის წესრიგიდან? და კიდევ, კონკრეტულად რაში გამოიხატება საკითხის დღის წესრიგში დგომა 10 წლის მანძილზე? იქნებ, გადაიღალა კიდეც ეს საკითხი (ქართველ ხალხზე რომ არაფერი ვთქვათ) ამ უაზრო დგომისგან?

8. „ჩვენ ხომ შესანიშნავად ვიცით, თუ ვის ხელშია ამ კონფლიქტების მოგვარების გასაღები“.

ეს ასეა ნამდვილად და არავითარი მოლაპარაკება მხოლოდ აფხაზეთან და ოსეთთან, შედეგს არ გამოიღებს. მაგრამ, თუკი ეს ვიცით, რატომ არ ვცდილობთ რუსეთთან კავშირების დამყარებას ყველა დონეზე და ყველა სფეროში, და რატომ გავიძახით ჯიუტი ბავშვივით ერთსა და იმავე სისულელეს: ჯერ გაიყვანოს რუსეთმა ჯარები და მერე დაველაპარაკებითო. ჯარები თუ გაიყვანა, მერე თუ გინდა გაებუტე კიდეც, დალაპარაკება რაღა საჭირო იქნება, ეს ხომ აქსიომასავით უტყუარია, მაგრამ სიმართლეს არავინ არ ამბობს – არ ამბობს, რომ რუსეთთან არათუ მოლაპარაკების, რუსეთისკენ გახედვის უფლებასაც არ იძლევა ამერიკა, ეს ხომ თავად პრეზიდენტად წოდებულმა მარგველაშვილმა დაგვიდასტურა ოთხი წლის წინათ!

9. „აშშ-ის პრეზიდენტთან და სხვა ლიდერებთან შარშან პრემიერ-მინისტრმა აქტიური მოლაპარაკებები გამართა...

ეს მოლაპარაკებები კარგია, მაგრამ იმ სახელმწიფოს პრეზიდენტთან, რომლის ხელშიცაა კონფლიქტების მოგვარების გასაღები, ერთ არააქტიურ მოლაპარაკებასაც რომ არ გამართავს არცერთი პრემიერი და პრეზიდენტი 10 წლის მანძილზე, ამას რა დავარქვათ? რატომ არ ურჩევს საგარეო ურთიერთობების საკითხებში მრჩეველი წერილის ავტორს, ჯარები თუ გაიყვანა, მერე თუ გინდა გაებუტე კიდეც, დალაპარაკება რაღა საჭირო იქნება, ეს ხომ აქსიომასავით უტყუარია, მაგრამ სიმართლეს არავინ არ ამბობს – არ ამბობს, რომ რუსეთთან არათუ მოლაპარაკების, რუსეთისკენ გახედვის უფლებასაც არ იძლევა ამერიკა, ეს ხომ თავად პრეზიდენტად წოდებულმა მარგველაშვილმა დაგვიდასტურა ოთხი წლის წინათ!

9. „აშშ-ის პრეზიდენტთან და სხვა ლიდერებთან შარშან პრემიერ-მინისტრმა აქტიური მოლაპარაკებები გამართა...

ეს მოლაპარაკებები კარგია, მაგრამ იმ სახელმწიფოს პრეზიდენტთან, რომლის ხელშიცაა კონფლიქტების მოგვარების გასაღები, ერთ არააქტიურ მოლაპარაკებასაც რომ არ გამართავს არცერთი პრემიერი და პრეზიდენტი 10 წლის მანძილზე, ამას რა დავარქვათ? რატომ არ ურჩევს საგარეო ურთიერთობების საკითხებში მრჩეველი წერილის ავტორს, ჯარები თუ გაიყვანა, მერე თუ გინდა გაებუტე კიდეც, დალაპარაკება რაღა საჭირო იქნება, ეს ხომ აქსიომასავით უტყუარია, მაგრამ სიმართლეს არავინ არ ამბობს – არ ამბობს, რომ რუსეთთან არათუ მოლაპარაკების, რუსეთისკენ გახედვის უფლებასაც არ იძლევა ამერიკა, ეს ხომ თავად პრეზიდენტად წოდებულმა მარგველაშვილმა დაგვიდასტურა ოთხი წლის წინათ!

10. „საერთაშორისო ვითარება გვიჩვენებს, რომ საქართველოსთვის მხოლოდ ევროპულ და ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში ინტეგრირებაა ერთადერთი შესაძლებლობა ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და თანმიმდევრული საგარეო კურსის გასატარებლად“.

ნუთუ ძნელი მისახვედრია, რომ თუ რუსეთმა თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩათვალა საქართველოს ოკუპირება, ვერავითარი ევროატლანტიკური თანამეგობრობა ჩვენ ვერ დაგვიცავს. და კიდევ, რომელ თანმიმდევრულ საგარეო კურსზე ვლაპარაკობთ, ერთხელ მაინც თუ გაგვიტარებია ასეთი კურსი საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით და აშშ-ის უკითხავად? თუ, ჩვენი და ამერიკის ინტერესები ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს?!

11. „2020 წლამდე საქართველოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში 5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ჩაიდება“.

ინვესტიციები ენერგეტიკაშიც ბევრი ჩაიდო და ჩვენს წყალუხვ ქვეყანაში 27 ელსადგური აშენდა დაახლოებით 10 წელიწადში, მაგრამ მერე რა, შემცირდა თუ გაიზარდა დენის გადასახადი, ან წყლის ან, საერთოდ, გაიაფდა რამე?

12. „სამწუხაროა, რომ საქართველოში რუსეთისგან კარგს არაფერს მოელიან“.

ეს ვინა თქვა, რომ ქართველი ხალხი რუსეთისგან კარგს არაფერს მოელის, ენდიაიმ თუ აირაიმ? ამ განცხადებას დასაბუთება არ სჭირდება? თურქული საშიშროების თავიდან აცილებაში ხალხს სწორედ რუსეთის იმედი ჰქონდა და დღესაც აქვს, განა ეჭვი გვეპარება, რომ რუსეთი რომ არა, თურქეთი უფრო თავხედურად მოიქცეოდა და ყარსის ხელშეკრულებაში ჩადებულ ნაღმებსაც თავის სასარგებლოდ აამოქმედებდა.

გარდა ამისა, სამი ათეული წელია, სწორედ რუსეთიდან შემოგვდის ფულადი გზავნილების ორი მესამედი – მილიარდობით დოლარი, რითიც, კარგად თუ ავად, სული უდგას ჩვენს ლარს და, შესაბამისად, მოსახლეობასაც. იქნებ, ყოველ წელს ახალ-ახალ „უანგარო“ სესხებს რომ ვიღებთ წინა წლებში „მეგობრებისგან“ აღებული ვალების პროცენტების (მხოლოდ პროცენტების!) დასაფარავად და ჩვენი საგარეო ვალი 10 წელიწადში 5-ჯერ რომ გაიზარდა, ისაა უკეთესი?!

13. „რუსეთთან „იძულებითი დაძმობილების“ გამო, მათში (აფხაზეთში და ოსეთში – **ი.ლ.**) **დიდ აღფრთოვანებას ვერ ვხედავ. საქართველოს ევროპისკენ სწრაფვა სულაც არ ნიშნავს უარის თქმას რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე“.**

ევროპისკენ სწრაფვა ნამდვილად არ ნიშნავს უარის თქმას რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე, მაგრამ „ნატოსკენ“ დაუოკებელი სწრაფვა და საქართველოში „ნატოს“ რაკეტების განლაგების გაცხადებული სურვილი („უფრო მეტი „ნატო“ საქართველოში“!) რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას უწყობს ხელს?

კიდევაც რომ დავუშვათ, და რუსეთმა გამოაცხადოს: ჯარები გამყავს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდანო, როგორ გგონიათ, ამით გახარებული, რუსეთთან „იძულებით დაძმობილებული“, რუსული პენსიებით უზრუნველყოფილი და რუსულ ბაზარზე თავისუფლად შემსვლელი აფხაზები და ოსები ჩვენ – ქართველებს ჩაგვეხუტებიან?! როცა პრემიერის მრჩეველი ასე არარეალისტურად ფიქრობს, ადვილი მისახვედრია, რომ საქართველოს მთავრობის პოლიტიკური ნაბიჯებიც არარეალისტური იქნება.

14. „მთლიანობაში მზად ვართ, სათანადოდ გავცეთ პასუხი რუსეთის შეკითხვებს, ვაწარმოოთ ღია და გულახდილი დისკუსია რეგიონული გამოწვევების კონტექსტში ურთიერთობის პრობლემებზე, მაგალითად, როგორც ეს სოჭის ოლიმპიადის დაწყებამდე მოხდა“.

სოჭის ოლიმპიადის წინ მოხდა სწორედ რუსეთის პრეზიდენტის მიერ უმაღლეს დონეზე შეხვედრის თაობაზე შემოთავაზება, და არა – დისკუსიების წამოწყებაზე (დისკუსიებს სადამდეც მიჰყავს მხარეები, ეს უძველესი

დროიდანაა ცნობილი), რასაც თავისმომჭრელად გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი (ამ საკითხს ზემოთ უკვე შევეხე).

15. „ჯერჯერობით, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, ჩვენ ჯერ კარგად არ ვიცით, რა სურს ჩვენგან რუსეთს.

ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ეს სრული სიცრუეა! ძალიან კარგადაც ვიცით ყველამ, აბსოლუტურად ყველამ, ვინც მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს თვალს ადევნებს – რუსეთისთვის მთავარია ერთი რამ: უარი ვთქვათ „ნატოზე“, სხვა ყველაფერი მოგვარებადია!

16. „რომც წარმოვიდგინოთ, რომ დავთანხმდით (იგულისხმება უარის თქმა „ნატოზე“ და ევრაზიულ კავშირში გაერთიანება – **ი.ლ.**), **რა შეიძლება მოგვცეს ამან? კონფლიქტების მოგვარება? ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა? არა და, კიდევ ერთხელ, არა! კრემლის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში ჩვენი ხალხის არჩევანთან სრულ შეუსაბამობაშია“.**

მე კი მიმაჩნია, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რუსეთთან საერთო ენის გამონახვის შემთხვევაში (გასაღები ხომ მის ხელშია!), სავსებით შესაძლებელია, მაგრამ არა ერთი ხელის მოსმით და არა უახლოეს პერიოდში. ჯაფარიძის კითხვას ოდნავ თუ შევცვლით, პასუხი უფრო ადვილი გასაცემი იქნება და უფრო ნათელიც: რა შეიძლება მოგვცეს რუსეთთან გაბუტვამ და, მით უფრო, დაპირისპირებამ? მხოლოდ გაბუტვამ – სტატუს-კვოს შენარჩუნება, „ნატოში“ თავის შეყოფის მცდელობამ და 2008 წლის აგვისტოს მსგავსმა დაპირისპირებამ კი – დანარჩენი საქართველოს ოკუპაცია!

რაც შეეხება ხალხის არჩევანს – ჰკითხა რომელიმე ხელისუფლებამ ამ ხალხს რამე? ოდესმე ჩატარებულა რეფერენდუმი ქართველი ერისთვის მტკივნეულ და სასიცოცხლო საკითხებზე? 2004 წელს სააკაშვილი თითქმის მთელმა მოსახლეობამ აირჩია, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ კიდევ უფრო მეტი ადამიანი მის გადადგომას მოითხოვდა. ამ 15-20 წლის წინათ აშშ-საც უჭერდა მხარს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, მაგრამ ახლა რა მდგომარეობაა, იკლო თუ იმატა მხარდამჭერთა რიცხვმა, ამის გაგება ამერიკის დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების სახელგატეხილი ინსტიტუტების – ენდიაის და აირაის კვლევების გზით უნდა ხდებოდეს (გავიხსენოთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მათ მიერ ჩატარებული „კვლევის“ სამარცხვინო შედეგები, რისთვისაც ისინი ქვეყნიდან გაძევებას იმსახურებდნენ) თუ – საერთო-სახალხო, საყოველთაო რეფერენდუმით?!

17. „ჩვენს დიალოგს რუსეთთან ცალსახად მიესალმება და მხარს უჭერს ჩვენი ყველა მეგობარი.“

როგორ არ გაგეღიმება ამაზე, ვინ დაიჯერებს, რომ თუნდაც მხოლოდ ამერიკა გვეუბნებოდეს რუსეთს დაელაპარაკეო და, ჩვენი ხელისუფლება კი გაჯიუტებას ბედავდეს – სანამ ჯარს არ გაიყვანს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, მანამდე, ვინც არ უნდა მითხრას, ცოცხალი თავით არ დაველაპარაკებიო. ეს იმას მაგონებს, სახელმწიფო დეპარტამენტი სააკაშვილს აფრთხილებდა, ომი არ დაიწყო სამაჩაბლოშიო და მიშიკომ, თურმე, ყურიც არ ათხოვა, „მეგობრული რჩევა“ არ მიიღო, ჩემი საქმის მე ვიცი! ამ ზღაპრების არავის სჯერა ხელისუფლებაში, მაგრამ თვალთმაქცობენ (რაც სიბრიყვეზე უფრო საშიშია!) და ამაში ხალხის დარწმუნებასაც აქტიურად ცდილობენ. ჰოდა, ამიტომაც მიდის ჩვენი საქმე უკუღმართად, ამიტომაც არ უმჯობესდება არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური ვითარება საქართველოში.

18. „რუსეთი აცხადებს, რომ არ აპირებს უკან გაიწვიოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთი) აღიარება“; „ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით პირდაპირ დიალოგს ჩვენს თანამოქალაქეებთან – აფხაზებთან და ოსებთან – მაგრამ მათზე ზეწოლას არ უნდა ახდენდეს რუსული სამხედრო ძალა“.

რუსეთი, ცხადია, უკან არ წაიღებს თავის გადაწყვეტილებას, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება, ეს ნაბიჯი მან ხომ ერთადერთი მიზნით გადადგა – შეძლებისდაგვარად ლეგიტიმური სახე რომ მიეცა სამხედრო ბაზების განლაგებისთვის აფხაზეთ-სამაჩაბლოში.

ზემოთ უკვე ვთქვი და გავიმეორებ, ყოველგვარი ზეწოლის გარეშეც, ოსები და, განსაკუთრებით, აფხაზები ნებით(!) არასოდეს დასთანხმდებიან ამჟამინდელი(!) საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას.

19. „დავოსის ბოლო ფორუმზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ისაუბრა რუსეთთან ურთიერთშეხების წერტილების მოძიების აუცილებლობაზე, რომლებმაც სამომავლოდ შესაძლოა, სტიმული მისცეს პოზიტიურ დისკუსიასა და კონფლიქტების პოლიტიკურ გადაწყვეტას“.

კიდევ ერთხელ უნდა გავიღიმოთ მწარედ – სულ ამ „შეხების წერტილების“ ძებნაში ვართ თურმე წლებია და ვერა და ვერ გვიპოვია!

20. „რა მოიპოვა რუსეთმა საქართველოს დაკარგვით? ვერაფერი! უფრო გაძლიერდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო ბაზების განთავსებით? არა“; „ფუჭია რუსეთის მოლოდინი, რომ საქართველო ოდესმე შეეგუება არსებულ რეალობას“.

როგორ თუ ვერაფერი! როგორ თუ არ გაძლიერდა ბაზების განლაგებით აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში! მან ხომ საგრძნობლად აამაღლა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა სამხრეთიდან წამოსული რაიმე აგრესიის შემთხვევაში და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ნულამდე დაიყვანა საქართველოში ამერიკული რაკეტების განთავსების შესაძლებლობაც.

რაც შეეხება იმას, შევეგუებით თუ არა ჩვენ „არსებულ რეალობას“, ეს რუსეთს დიდად არ ანაღვლებს, ვინაიდან მან მთავარ საწადელს მიაღწია – კიდევ უფრო მყარად მოიკიდა ფეხი სამხრეთ კავკასიაში (გიუმრის სამხედრო ბაზას სომხეთში კიდევ რამდენიმე დაამატა საქართველოში). რუსეთს ვინ ჩივის, ჩვენც რომ არ გვანაღვლებს, ისაა უბედურება – **10 წელია, თითი თითზე არ დაგვიკარებია „არსებული რეალობის“ შესაცვლელად და, ყველაფერს რუსეთს ვაბრალებთ. აი, ესაა სადარდებელი! თურქეთის მხრიდან ეკონომიკური, რელიგიური და დემოგრაფიული ექსპანსიაა სადარდებელი! არც ამისთვის იბერტყავს ყურს ვინმე! ახლა კი, უკვე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე „ნატოში“ შესვლის საკითხს რომ ვიხილავთ და რუსეთთან აშკარა კონფრონტაციაზე მივდივართ, ისაა სადარდებელი!** რუსეთთან ასეთი „შეხების წერტილების“ მოძიებას გულისხმობენ პრემიერი და მისი მრჩეველი?! და, **ხალხიც აქტიურად რომ არ აპროტესტებს ხელისუფლების ამ ნაბიჯებს, ისაა სადარდებელი!** გამოდის, ყველანი ყველაფერს შეგუებულები ვყოფილვართ და ესაა! რაღა გვიჭირს, **ასეთი „ბედნიერი ერი“ არასოდეს არ ყოფილა ქართველი ერი!**

21. ჩვენ ნატოს წევრები არ ვართ, მაგრამ ჩვენი „მეხუთე მუხლი“ ჩვენს... ევროატლანტიკური თანამგობრობისკენ სწრაფვაშია“.

ამ „სწრაფვის“, ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების საკონსტიტუციო ვალდებულებად ქცევის კომენტარად უპატიოსნესი ადამიანის – დიმიტრი ლორთქიფანიძის შეფასებას გამოვიყენებ, ადამიანის, რომელსაც „ქართული ოცნების“ უმრავლესობამ უჩა ნანუაშვილი ამჯობინა სახალხო დამცველად: „სააკაშვილის რეჟიმმაც კი ვერ გაბედა ეს 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში... „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მარიონეტული ხელისუფლებაა და ის მოქმედებს არა ეროვნული ინტერესით, არამედ იმ ვალდებულებებით, რომლებიც საკუთარი პატრონის წინაშე გააჩნია“.

ჩემი მხრივ კი დავამატებ – მიუხედავად იმისა, რომ აშშ, მისი პრეზიდენტები თუ პრეზიდენტობის კანდიდატები უპირობოდ(!) უჭერენ მხარს ისრაელს (მაგალითად, ელ გორს, ბუში-უმცროსის კონკურენტს 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ისრაელის უპირობო მხარდაჭერა პირველ პუნქტად ჰქონდა შეტანილი თავის პროგრამაში), მაინც არავის არ მოსვლია თავში აზრად, რომ ამ სახელმწიფოებრივი პოზიციისთვის კონსტიტუციური ძალა მიენიჭებინათ.

აი, ასეთი პრინციპული ხასიათის ხარვეზებითაა გაჯერებული ბატონი თედო ჯაფარიძის პუბლიკაცია, რომელიც ნუგზარ ფოფხაძემ „ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერიოდში (ანუ 27-წლიან პერიოდში! – **ი.ლ.**) რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში ყველაზე თვალსაჩინოდ, გაბედულად მიიჩნია.

იაკობ ლეჟავა

P. S. წერილი ყურადღებით წავიკითხე, მაგრამ მაინც ვერ გავიგე, თუ რაში გამოიხატა ბატონი თედოს „გაბედულება“ და „რისკი“ ან, თუნდაც, „თანამდებობრივი და დიპლომატიური „მუხრუჭებით“ შეუზღუდველობა“, მას ხომ „მეგობარი“ და „პარტნიორი“ სახელმწიფოების მისამართით ერთი აუგი სიტყვაც არ დასცდენია. აბა, რუსეთის კრიტიკა და ლანძღვა–გინება ხომ მხოლოდ პლუსში ჩაეთვლება!

ი. ლ.

უკრაინული ქვანახშირი და რუსული „შავი ხვრელი“ დონბასიდან ოჩამჩირემდე

რუსეთი **უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არალეგალურად მოპოვებული ქვანახშირის გატანას საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გავლით გეგმავს. საუბარია ანტრაციტის ჯგუფის დეფიციტურ ქვანახშირზე, რომელზეც დიდი მოთხოვნაა როგორც თურქეთში, ისე ევროპის სხვა ქვეყნებში. არალეგალური ანტრაციტის ფასი მსოფლიო ფასთან შედარებით, 30-50%-ით ნაკლებია.**

რუსეთი ცდილობს, რომ უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე ჰიბრიდული ომი მისსავე ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციის, უცხოეთში რეალიზაციდან მიღებული შავი ფულით დააფინანსოს. ლუგანსკში აფხაზი სეპარატისტების წარმომადგენელმა სერგო ლადარიამ განაცხადა, რომ დონბასიდან ქვანახშირის ექსპორტი თურქეთში ოჩამჩირის ოკუპირებული პორტიდან განხორციელდება.



სერგო ლადარია, სეპარატისტული სოხუმის „წარმომადგენელი“ ოკუპირებულ ლუგანსკში:

„ლუგანსკის ქვანახშირის ექსპორტის მიზნით, ჩვენ გავედით თურქულ კომპანიებზე, რომლებიც ოჩამჩირის პორტის მეშვეობით თანამშრომლობისთვის მზად არიან. ახლა ვათანხმებთ ტარიფებს, რომ ფინანსური კუთხით ეს მისაღები იყოს როგორც თურქებისთვის, ისე სოხუმისა და ლუგანსკისთვის.“

შავი ზღვის აუზში არალეგალური ქვანახშირის ექსპორტისთვის „შავი ხვრელი“ – ოჩამჩირის დახურული ნავსადგური იდეალური ვარიანტია. მიუხედავად იმისა, რომ ეს პორტი სანქციის ქვეშ არის, იქ უცხოური, პირველ რიგში კი, თურქული გემები სისტემატურად შედიან. სანქციების თავიდან აცილებას გემები ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემის (AIS) გათიშვით ახერხებენ. მათ უსაფრთხო ნაოსნობაზე კი ოჩამჩირეში უკანონოდ ბაზირებული რუსეთის საოკუპაციო ძალების სანაპირო დაცვის კატარღები ზრუნავენ.

ოჩამჩირის პორტში არსებობს ქვანახშირის სატვირთო ტერმინალიც, რომელსაც თურქული კომპანია „ტამსაშის“ შვილობილი „ტყვარჩელნახშირი“ იყენებს. „ტამსაში“ – თურქეთიდან რეპატრიანტი ბიზნესმენის, „აფხაზთა პარლამენტის“ წევრის ტაიფუნ არძინბას საკუთრებაა. თურქული ინვესტიციებით დაფუძნებული ეს კომპანია ტყვარჩელის ქვანახშირის საწარმოს უკანონო ექსპლუატაციას და ქვანახშირის ექსპორტს თურქეთში 2000 წლიდან ეწევა.

2018 წლის მონაცემებით, ტყვარჩელში ღია წესით ქვანახშირის მოპოვება მარაგების შემცირების გამო შეჩერებულია. შესაბამისად, უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოპოვებული ქვანახშირით თურქების დაინტერესება რთული არ იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ტექნიკურად შესაძლებელია, უკრაინული არალეგალური ქვანახშირი საერთაშორისო ბაზარზე ტყვარჩელში მოპოვებულ ან რუსულ წიაღისეულად გასაღო.

ეს უკანონო სქემა, სავარაუდოდ, 2015 წლიდან უკვე მოქმედებს. მაშინ სოხუმის რკინიგზის სადგურში რუსეთიდან შემოსული ქვანახშირით დატვირთული ვაგონები პირველად დაფიქსირდა. ეს მოხდა ერთი წლისთავზე, რაც რუსეთმა უკრაინული ყირიმის ანექსია მოახდინა და დონბასში ჰიბრიდული ომი წამოიწყო.

უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი ალექსანდრე ტურჩინოვი ამბობს, რომ კიევი ყველა დონეზე ცდილობს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ქვანახშირის ექსპორტი არ დაუშვას: **უკრაინას მკაცრი რეაგირება ექნება ოკუპირებული ტერიტორიებიდან ქვანახშირის ექსპორტზე ევროპის ქვეყნებში. ეს საერთაშორისო დანაშაულია და ევროპულ კომპანიებს, რომლებსაც ასეთ უკანონო ვაჭრობასთან კავშირი აქვთ, პასუხს აუცილებლად მოვთხოვთ“.**

2017 წლის ოქტომბერში, უკრაინა-პოლონეთის ურთიერთობა დაიძაბა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ოკუპირებულ ლუგანსკში უკანონოდ მოპოვებული 11 ათასი ტონა ქვანახშირი, რუსეთის გავლით, პოლონეთში გაიყიდა და ამ სქემაში, კატოვიცეში რეგისტრირებული პოლონური კომპანია Doncoaltrade იყო ჩართული.

ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე წარმოებულ ქვანახშირს რუსეთი, როგორც საკუთარ პროდუქციას, უკრაინაშივე ყიდდეს. ბოლო მონაცემებით, 2017 წელს, უკრაინას 6 მილიონამდე ტონა ქვანახშირის იმპორტი დასჭირდა და აქედან 4,5 მილიონი ტონა რუსეთმა მიაწოდა, ხოლო 1,25 ტონა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სამხრეთ აფრიკამ.

ზაზა წულაძე

ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექ-ტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქ-ციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადამხდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება – ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი – ლიცენზიის მფლობელის მიერ; ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილების თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია განახორციელოს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა
		და ქიმიურ შემადგენლობაზე; ი) ლიცენზიის მიღებიდან 2 (ორი) წლის ვადაში, მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით შეადგინოს საბადოს (წყლის) მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა; კ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს სანიტარული ზონების დაცვა; ლ) ლიცენზიის მფლობელმა ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; მ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს ჭაბურღილების თავმორთულობის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება; ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს №15, №16 და №18 ჭაბურღილების ნაპირსამაგრის მოწყობა (აღდგენა); ო) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს №15 და №16 ჭაბურღილების შემოღობვა; პ) ყველა ჭაბურღილი გარდა №15 და №16-სა მოთავსებულია შენობაში რომელთა უმეტესი ნაწილი ამორტიზირებულია და საჭიროებს აღდგენას; ჟ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N58 დადგენილებით დამტკიცებული დებულება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის შესახებ“. რ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში. ს) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება; ტ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). უ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. დიდი მუღანლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილებიდან (21 ჭაბურღილი) მიწისქვეშა მტკნარი წყალი (კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 5 000 000 მ³/წელიწადში.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. დიდი მუღანლოს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	20 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	2 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი	10 200 ლარი
	საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 27 თებერვლის დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 27 მარტს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 27 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 27 მარტს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №2		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადამხდელთა სალიცენზიო ობიექტებზე
		ხორციელდება – ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი – ლიცენზიის მფლობელის მიერ; ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი სხვა პირობები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. დაბის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის (ოთხ საექსპლუატაციო ჭაბურღილზე ერთად N3; N4; N5; N6) მოცულობა - 120 000 მ³/წელიწადში (N7 და N8 დასაკვირვებელი ჭაბურღილები)
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. დაბის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	3 879 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	387,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 140 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 27 თებერვლის დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 27 მარტს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 27 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 27 მარტს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

„მიგრანტობა კრიმინალი არაა“

მიგრანტებისათვის მხარდასაჭერად ბრიუსელში მრავალათასიანი დემონსტრაცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა ასევე გააპროტესტეს ბელგიის მთავრობის საიმიგრაციო პოლიტიკა. საპროტესტო აქციის მონაწილეებს ხელში ბანერები ეჭირათ, რომლებზე დატანილი ძირითადი გზავნილი იყო, რომ მიგრანტობა კრიმინალი არ არის და მიგრაციის საკითხებში სახელმწიფო მდივანი თეო ფრანკენი უნდა გადადგეს. ფრანკენი გასულ წელს მედიამ იმის გამო გააკრიტიკა, რომ ალეპოდან გამოქცეულ სირიელ დევნილებს ჰუმანიტარულ ვიზებს არ აძლევდა.

სირიაში ცეცხლის შეწყვეტის რეზოლუცია მიიღეს

გაეროს უშიშროების საბჭომ სირიაში ცეცხლის შეწყვეტის 30-დღიანი რეჟიმის გამოცხადების შესახებ რეზოლუცია ერთხმად მიიღო. გაერო ამ ვადას სირიაში ჰუმანიტარული დახმარების ჩასატანად და დაჭრილების ევაკუაციისთვის გამოიყენებს. დოკუმენტის ავტორები შვედეთი და ქუვეითი არიან. რეზოლუციის თანახმად, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი არ გავრცელდება ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოსა“ და სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებზე.

ნატომ რუსეთთან თანამშრომლობა შეაჩერა

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა რუსეთთან სამხედრო კუთხით პრაქტიკული თანამშრომლობა და რუსეთ-ნატოს საბჭოს ფორმატში დიალოგი შეაჩერა.

„დიალოგს არ გავურბივართ. მათი მხრიდან კი ერთადერთი წინაღობა არის ის, რომ ნატო აღმოსავლეთის მიმართულებას არარსებული საფრთხის გამო აძლიერებს, საერთო ინტერესების სფეროებში კი თანამშრომლობა შეჩერდა. ალიანსის ხელმძღვანელობას უყვარს საუბარი იმაზე, რომ საჭიროა დეესკალაცია, საშიში სამხედრო ინციდენტების არიდება, მაგრამ არაფერს აკეთებს, რომ სამხედრო ხაზით ნორმალური ურთიერთობა აღადგინოს. მხოლოდ თანაბარუფლებიანი თანამშრომლობით მსოფლიო მოთამაშეებთან, მათ შორის, რუსეთთან იქნება შესაძლებელი ვითარების გაუმჯობესება“, — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

როგორც „იზვესტიას“ ნატოს პრესსამსახურში განუცხადეს, „ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და რუსეთის ურთიერთობა, ასევე პარტნიორობის მზაობა დამოკიდებული იქნება რუსეთის მხრიდან მკვეთრ, კონსტრუქციულ ცვლილებაზე, რომელიც იმის მანიშნებელი იქნება, რომ რუსეთი საერთაშორისო ნორმებს, საერთაშორისო ვალდებულებებსა და მოვალეობებს ასრულებს“.

„სანამ ეს არ მოხდება, ჩვეულ რეჟიმში მუშაობა არ შეგვიძლია“, — აღნიშნეს ნატოში.

სირიაში ერთი კვირის განმავლობაში 500 ადამიანი დაიღუპა

გაეროს უშიშროების საბჭომ ორი დღის წინათ სირიაში 30-დღიანი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ რეზოლუცია მიიღო, თუმცა სამთავრობო ძალების ავიაცია აღმოსავლეთ გუთას ამ დრომდე უტევს. ერთკვირიანი იერიშების შედეგად რეგიონში 500-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა. ამავდროულად, სირიაში შესაძლო ქიმიურ შეტევას იძიებენ. ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებით, აღმოსავლეთ გუთას დაბომბვის შემდეგ საავადმყოფოებში პაციენტები გადაიყვანეს, რომლებსაც ქიმიური შეტევის სიმპტომები აღენიშნებოდათ. უფლებადამცველების თქმით, ავიადარტყმებს გუთაში 98 ადგილობრივი მაცხოვრებელი ემსხვერპლა, მათ შორის 20 ბავშვია. დაჭრილთა რიცხვი კი 500-ს აღწევს.

ინდოელმა ექიმებმა მსოფლიოში ყველაზე დიდი, 1,8 კგ სიმსივნე ამოკვეთეს



ინდოელმა ექიმებმა, მუმბაიში, მსოფლიოში ყველაზე დიდი, 1,8 კგ წონის ტვინის სიმსივნე ამოკვეთეს. ზომით იგი პაციენტის თავზე დიდი იყო. ოპერაციამ 6 საათს გასტანა.

სიმსივნე 31 წლის პაციენტ სანტალა პალის 3 წლის წინათ განუვითარდა, მაგრამ არცერთი ექიმი არ რისკავდა მისთვის ამ ურთულესი ოპერაციის ჩატარებას. შედეგად პალი დაბრმავდა, თუმცა ექიმები ვარაუდობენ, რომ, თუ რეაბილიტაციის პროცესი წარმატებით ჩაივლის, მას თვალისჩინი დაუბრუნდება.

პაციენტი რეანიმაციაში რჩება, თუმცა ექიმების განცხადებით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

NASA-მ გამოუშვა დისკი, რომელზეც 1977 წელს კოსმოსში გაგზავნილი „დედამიწის ხმებია“ ჩაწერილი

გამოვიდა ე.წ. „ვოიაჯერის ოქროს დისკი“, რომელშიც ჩაწერილია 1977 წელს NASA-ს მიერ კოსმოსურ ხომალდ „ვოიაჯერ 1“-სა და „ვოიაჯერ 2“-ის მეშვეობით მზის სიტემის მიღმა გაგზავნილი აუდიომასალა.

პროგრამა Voyager იყო ამერიკული სამეცნიერო პროგრამა, რომლის საფუძველზეც 1977 წელს NASA-მ კოსმოსში გაუშვა ორი იდენტური ავტომატური კოსმოსური ზონდი ვოიაჯერ 1 და ვოიაჯერ 2 მზის სისტემის მიღმა მდებარე სივრცის შესწავლის მიზნით.



2012 წლის 25 აგვისტოს „ვოიაჯერ 1“ ადამიანის მიერ შექმნილი პირველი მოწყობილობა გახდა, რომელიც მზის სისტემას გასცდა. რობოტები აღჭურვილი არიან მრავალი სამეცნიერო ინსტრუმენტით, ფოტო და რადიოდანადგარებით, ინფრაწითელი და ულტრაიისფერი სპექტომეტრებით და სხვა მრავალი მოწყობილობით. „ვოიაჯერების“ მიერ დედამიწაზე გამოგზავნილი ინფორმაციით ბევრი ახალი აღმოჩენა მოხდა და ნათელი მოეფინა ბევრ კითხვას.

ორივე ზონდზე მიმაგრებულია ოქროს ფირფიტა, რომელზეც ჩაწერილია დედამიწის სურათები, ვულკანის ამოფრქვევის, წვიმის, ელჭექის, გულისცემისა და სხვა ბუნებრივი მოვლენების ხმები. ასევე ხმები, რომელსაც დედამიწის ბინადარი ცხოველები გამოსცემენ. აქვე ჩაწერილია მისალმება 58 ენაზე, მათ შორის, ლათინურ და არამეულ ენებზე. მრავალი ჟანრის, მუსიკალური ნაწარმოებების კოლექცია და დედამიწის სხვადასხვა კულტურათა ხალხური სიმღერები — მათ შორის, ქართული ხალხური სიმღერა „ჩაკრულო“. ფირფიტის მეორე მხარეს ამოტვიფრულია კოსმოსური რუკა დედამიწის მდებარეობის ზუსტი კოორდინატებით.

◎ სიბერის წამალი

„კარგი მოქალაქეები, მაგრამ ცუდი მეზობლები“

მკვლევართა უმრავლესობა დღეს დაბერებას აფასებს, როგორც ორგანიზმში დაზიანებათა თანდათანობით დაგროვების პროცესს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ერთი შეხედვით უტყუარი განმარტებები შესაძლოა, მცდარი აღმოჩნდეს.

ბევრნი მიიჩნევენ, რომ **დაბერება და სიკვდილი — ეს გარკვეული გენეტიკური პროგრამის ნაწილია, რომლის გადაწერა, ანდა, სულაც, გაუქმება, სავსებით შესაძლებელია!**

ამ ვერსიას ირიბად ზოგიერთი ცხოველი ადასტურებს. მაგალითად, ოკეანის დიდი ფრინველები 50 წლამდე ცოცხლობენ, შემდეგ კი უცბად ფრენის დროს კვდებიან. შიშველი მიწისმთხრელი თავის უახლოეს ნათესავ თაგვზე ათჯერ დიდხანს ცოცხლობს და ამ ფენომენის ახსნა ბიოლოგებმა ჯერჯერობით ვერაფრით შეძლეს. არსებობენ გიგანტური კიბორჩხალები, **გალაპაგოსური კუები**. ყველა ამ ცხოველს „უბერებელი სახეობის“ სახელი მიანიჭეს, თუმცა მერე ბრჭყალები მოხსნეს და იმაზე დაიწყეს ფიქრი, თუ როგორ მოექციათ ამ მწკრივში ადამიანიც.

ერთი მხრივ ისე ჩანს, თითქოს ადამიანის მრავალი ქსოვილი უკვდავია: უჯრედები გამუდმებით იყოფიან, დაზიანებულებს ახლები ცვლიან, ცუდებს კი მეზობლები შთანთქავენ. მაგალითად, კუჭის ლორწოვანი გარსი ყოველ სამ დღეში ერთხელ ახლდება, კანი — ყოველ ექვს კვირაში. მაგრამ, **უბედურება ისაა, რომ უჯრედების გაყოფისას წარმოიშვება მუტაციები, რომელთა დაგროვებას შეიძლებაბ ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოშობა მოჰყვეს**.

სინამდვილეში უჯრედები უსასრულოდ არ იყოფიან, ეს პროცესი დაყოფათა გარკვეულ ოდენობაზეა დაპროგრამებული, რომელთა მსვლელობაში მუტაციების რიცხოვნობა მისაღებ დონეზე რჩება. **ესაა ორგანიზმის კიბოსგან დამცველი ბუნებრივი მექანიზმი**. მარაგის ამოწურვის შემდეგ კი **უჯრედი სენესცენტური,** ანუ უძლური ხდება.

სენესენციის მექანიზმი კალიფორნიის ბაკის დაბერების ინსტიტუტის ლეგენდარულმა მკვლევარმა **ჯუდი კამპიზიმ** აღმოაჩინა, რომელმაც სენესცენტურ უჯრედებს „კარგი მოქალაქეები, მაგრამ ცუდი მეზობლები“ უწოდა. მათ უმნიშვნელოვანესი როლი მიუძღვით კიბოს თავიდან არიდებაში, მაგრამ, ასაკთან ერთად დაგროვებისას, ასეთი უჯრედები ქსოვილების ფუნქციებს შლიან, ანგრევენ მათ და ანთების მიზეზად იქცევიან. ამავე დროს ისინი ბლოკავენ **აპოპტოზს** (ანუ უჯრედთა თვითმკვლელობას) და მეზობლებს თავს არ „აჭმევინებენ“. მეტიც, სენესცენტური უჯრედები საგანგებო ნივთიერებებს გამოყოფენ, რომლებიც ხელს უწყობენ ახლომდებარე კიბოსადმი მიდრეკილ უჯრედებს ავთვისებიან უჯრედებად გარდაქმნაში.

ამ გზით, მექანიზმი, რომელიც ახალგაზრდებს კიბოსგან იცავს, სიბერეში ავადმყოფობის განვითარებას უწყობს ხელს.

— ბოლო დროს ჰერონტოლოგიაში წამყვან როლს იკავებს თეორია, რომ **ორგანიზმში სენესცენტური უჯრედების დაგროვება დაბერების ძირითადი მიზეზია,** — აცხადებს ამერიკული „როზუელ პარკ კანცერ ინსტიტუტის“ ვიცე-პრეზიდენტი **ანდრეი გუდკოვი**.

ახალგაზრდობიდან მოყოლებული მისი ოცნება კიბოს წამლის შექმნა იყო, ამასთან, რაღაც მომენტში მეცნიერი მიხვდა, რომ **საჭიროა არა უკვე შექმნილი კიბოს უჯრედების განადგურება, არამედ ჯანმრთელი უჯრედებისთვის ავთვისებიანებად გადაქცევის „დანაშაულებრივ“ გზაზე დადგომის საშუალების მოსპობა**.

ლაპარაკია პროფილაქტიკურ მკურნალობაზე, რომელიც ყოველ ადამიანს წელიწადში ერთხელ ექნება გასავლელი და ამ პროცედურის გამოყენებას, დოქტორ გუდკოვის აზრით, უახლოეს ხუთ წელიწადში დაიწყებენ. დროთა განმავლობაში კი იგივე თერაპია შესაძლოა, „სიბერის წამლადაც“ გადაიქცეს.

სიკვდილი — ეს ევოლუციის მხოლოდ ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომლის წყალობით ახალი თაობები გამუდმებით იღებენ წინა თაობებზე უკეთესებად გადაქცევის შანსს. ამიტომაა, რომ თანამედროვე ადამიანი სრულიად არ არის დაინტერესებული საკუთარ ევოლუციაში. თუკი გაფრენა გვჭირდება, ჩვენ თვითმფრინავს ვაგებთ — ამით გარემოს ვირგებთ ჩვენზე და არა თავად ვერგებით. ამდენად, ევოლუციის დამაჩქარებელი დაბერების მექანიზმი ჩვენ არაფერში არ გვჭირდება, რადგანაც ის საზიანოა. ჩვენი სუპერამოცანაა ადამიანის უბერებელ ცხოველთა მწკრივში გადაყვანა.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

◎ წყალბურთი

მიზანთან ახლოს

ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფი

თბილისი. „ოლიმპიკის“ აუზი
საქართველო-ისრაელი 12:1 (5:0, 2:0, 2:0, 3:1)

საქართველო: შუბლაძე, ქავთარაძე (1), რუსიშვილი, იმნაიშვილი, ბითაძე (2), ელაჩა (3), ჯახაია (1), ბაღათურია (1), რურუა (1), გეგელაშვილი, მაგრაქველიძე (3), მესხი, რაზმაძე, **მწვრთნელი** ჩომახიძე.

ისრაელი: მალკისი, შაჰამი, გროსი, ი. კერემი, კონევი, ო. კერემი, ფრედი, ჰაპარი, კოტერი, ზონანშტერნი (1), გრუნდლინდი, ფირი, **მწვრთნელი** ბარდიჩი.

წლეულს 14-28 ივლისს ბარსელონა წყალბურთელ ვაუთა ევროპის 33-ე ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. წინა პირველობიდან იქ თამაშის უფლება განაღდებული აქვთ სერბეთს, ხორვატეთს, უნგრეთს, საბერძნეთს, იტალიას, რუსეთს, მონტენეგროსა და ესპანეთს. დანარჩენი რვა გუნდის ვინაობას პლეი ოფები დაასახელებს. საქართველოს ნაკრები მსგავსი შეჯიბრებების დასკვნით რაუნდში ორჯერ მონაწილეობდა — 2014 და 2016 წლებში. ჩვენები ახლოს არიან, ევროპის ფინალში მესამედაც მოსინჯონ ძალები. საამისოდ ერთი ბარიერია გადასალახავი — ისრაელის ნაკრები, რომელიც ქართველებმა „ოლიმპიკის“ აუზში მიიღეს. სახელოვანი წყალბურთელის — რევაზ ჩომახიძის შეგირდებმა მატჩი იერიშებით დაიწყეს და 24-ე წამზე ცენტრალურმა თავდამსხმელმა ანდრია ბითაძემ ანგარიში გახსნა.

პირველ რვაწუთიან მონაკვეთში ამ წარმატებას ზურაბ რურუას, გიორგი მაგრაქველიძისა (ორჯერ) და მიხეილ ბაღათურიას კიდევ ოთხი გოლი მოჰყვა. მომდევნო პერიოდებშიც „ჯვაროსანთა“ უპირატესობა აშკარა იყო და მათ 11 ბურთის სხვაობით გაიმარჯვეს. განმეორებითი შეხვედრა 3 მარტს ისრაელში გაიმართება და ბარსელონის ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად ჩვენებს 10-ბურთიანი სხვაობით წაგებაც ხელს აძლევთ.

პლეი-ოფის დანარჩენი მატჩების შედეგები: საფრანგეთი — შვეიცარია 18:1, რუმინეთი — ჩეხეთი 20:5, პოლონეთი — გერმანია 2:21. ჰოლანდია — ლიტვა 26:7, პორტუგალია — სლოვაკეთი 4:16, ბელარუსი — მალტა 8:7, უკრაინა — თურქეთი 8:8.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭადრაკი

საქართველო მეორედ მოიგო

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 75-ე ჩემპიონატი (საპრიზო ფონდი 17.500 ლარი), რომელშიც სხვადასხვა კუთხის 10 წარმომადგენელი წრიული სისტემით ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა ბლიცში 2017 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და „კლასიკურში“ ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული ნანა ძაგნიძე.

ნინო ბაციაშვილი

ჩემპიონატში ექვსი ტურის შემდეგ 5.5 ქულით სალომე მელია მეწინავეობდა, მაგრამ მან ბოლო სამი პარტია წააგო და საბოლოოდ მე-5 ადგილს დასჯერდა. 9 შესაძლებლობიდან 7-7 ქულა მოაგროვეს ნინო ბაციაშვილმა და შარშანდელმა ჩემპიონმა ბელა ხოტენაშვილმა. უკეთესი კოეფიციენტით ოქროს მედალი საქართველოს 2015 წლის ჩემპიონსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონ ნინო ბაციაშვილს ერგო. ხოტენაშვილი მეორე ადგილს დასჯერდა, მესამე ადგილზე კი 6 ქულით ლელა ჯავახიშვილი გავიდა. სამივე პრიზიორს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დააფინანსებს.

საბოლოო შედეგები: *ნინო ბაციაშვილი-7, ბელა ხოტენაშვილი-7, ლელა ჯავახიშვილი-6, მერი არაბიძე-5.5, სალომე მელია-5.5, სოფიო გვეტაძე-4.5, მირანდა მიქაძე-3.5, ნინო ხომერიკი, მაკა ფურცელაძე, თამარ წერეთელი-2-2 ქულა.*

თამაზ პატარიძე

◎ ძიუდო

შვიდეულის ჯილდოები

საქართველოს ნაკრები გერმანულ დორტმუნდში დიდი სლემის ტურნირზე შვიდი სპორტსმენით გაემგზავრა, თანაც გუნდის შემადგენლობაში ლიდერთა უმეტესობა არ გამოდიოდა. ჩვენებმა შეჯიბრება თითო ოქროსა და ბრინჯაოს მედლით დაასრულეს. 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ტიტულოვანი ძიუდოისტი ვარლამ ლიპარტელიანი, ხოლო 60 კილოში მესამე ადგილს დასჯერდა ლუხუმ ჩხვიმიანი.

ლიპარტელიანს ჯგუფში სუსტი კონკურენტები ჰყავდა: ყირგიზი ფარუჰ ბულეკულოვი და ავსტრიელი ლაურინ ბოლერი იპონებით დაამარცხა, მონღოლ ოტგონბაატარ ლხაგვარსურენს სამი გაფრთხილება მიაღებინა, ნახევარფინალში ჩვენებურმა მსოფლიოსა და ევროპის ფინალისტი ტომა ნიკიფოროვი (ბელგია) გააკრა ტატამს ბეჭებით, გადამწყვეტ პაექრობაშიკი ირლანდიელი ბენჟამინ ფლეტჩერი დაამარცხა წმინდად. ამ წონაში ბრინჯაოს მედლები ჟორჟე ფონსეკას (პორტუგალია) და ნიიაზ ბილალოვს (რუსეთი) ერგოთ.

60 კილოში, სადაც ჩხვიმიანი მესამე იყო, ვერცხლის მედალი რუსეთელმა რობერტ მშვიდობაძემ დაისაკუთრა. ფინალში მან იაპონელ რიუჯუ ნაგაიამასთან წააგო. ასევე მეორე ადგილზე გავიდა უკრაინელთა ლიდერი გიორგი ზანთარაია (66) — გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მასაც იაპონელმა კენძო ტაგავამ აჯობა. 90 კილოში ესპანელებს „ბრინჯაო“ ნიკოლოზ შერაზადაშვილმა მოუპოვა.

ლაშა დიდია

ვარლამ ლიპარტელიანი

◎ ჭიდაობა

უხვი ნაღავლით

„სახელოვან უკრაინელ ფალავანთა და მწვრთნელთა მემორიალი“ — ასე ერქვა მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირს, რომელიც კიევში გაიმართა. შეჯიბრებაში საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდებიც მონაწილეობდნენ და 11 ჯილდოც მოიპოვეს.

„კლასიკოსებმა“ 2-2 ოქროვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. პირველ ადგილებზე გავიდნენ შმაგი ბოლქვაძე (72 კგ) და ახალგაზრდა ლევან ქავჟარაძე (67 კგ). გადამწყვეტ ბრძოლაში შმაგიმ უკრაინელ დმიტრო პინკოვს, ლევანმა კი ფრანგ მამადასი სილას აჯობა. მეორე ადგილები დაიკავეს ნუგზარ წურწუმიამ (55 კგ) და ევროპის ორგზის ჩემპიონმა ზურაბ დათუნაშვილმა (82 კგ), რომლებმაც ფინალები, შესაბამისად, აზერბაიჯანელ აზიზ ელდანიზლისა და ბელარუს სტანისლავ შაფარენკოსთან დათმეს. მესამე იყო იაკობ ქაჯაია (130 კგ).

შმაგი ბოლქვაძე

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ანგარიშზეა 3-3 „ვერცხლი და ბრინჯაო“. თეიმურაზ ვანიშვილმა (57) „ოქროსთვის“ პაექრობა აზერბაიჯანის სახელით მოჭიდავე თანამემამულესთან, ევროპის ორგზის ჩემპიონ გიორგი ედიშერაშვილთან წააგო, ბექა ლომთაძე (61 კგ) ფინალში აზერბაიჯანელ ახმედნაბი გვარზატილოვთან ვერაფერს გახდა, ხოლო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური მედალოსანი გენო პეტრიაშვილი (125) უკრაინელ ალექსანდრ ხოციანოვსკისთან დამარცხდა. მესამე ადგილებზე გავიდნენ ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (65), ირაკლი მწითური (92) და გიორგი მეშვილდიშვილი (125). ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის სამგზის გამარჯვებული ვლადიმერ ხინჩეგაშვილი საერთაშორისო არენაზე პირველად გავიდა ახალ წონაში და ნახევარფინალამდე უპრობლემოდ მიაღწია, იქ კი წონის ერთ-ერთ ლიდერთან, პოლონეთის სახელით მოჭიდავე დაღესტნელ მაგომედმურად გაჯიევთან დამარცხდა, „ბრინჯაოსთვის“ შეხვედრაში კი ჩვენებურმა უკრაინელ გორ ოგანესიანს სძლია. საგულისხმოა, რომ მეშვილდიშვილმა ყატარის სახელით მოჭიდავე გიორგი საკანდელიძეს აჯობა.

გივი გაგუა

◎ კალათბურთი

სიმართლეს ჩავხედოთ თვალებში!

მომავალი მუნდიალის საკვალიფიკაციო ტურნირის სისტემას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ოთხი შეხვედრიდან სამის წაგების მიუხედავად ჩინეთში გამგზავრების შანსს ვინარჩუნებთ, თუმცა, არის პრობლემა, რომელიც საკადრო დეფიციტს განაპირობებს და, დანარჩენ მეტოქეთა მსგავსად, ილიას ზურაბის გუნდის შემადგენლობასაც გვარიან დაღს ასვამს.

საუბარია ფიბასა და ევროლიგას შორის არსებულ უთანხმოებაზე, რის გამოც საქართველოს ეროვნული ნაკრების ლიდერებს — შენგელიასა და შერმადინს პარტნიორთა დახმარების საშუალება არ ეძლევათ. დაუმატეთ ამას



მარკოიშვილის, ცინცაძის, სანაძისა და ბურჯანაძის ტრავმები (აღარაფერს ვამბობთ ფაჩულიასა და სანიკიძესთან გამოთხოვებაზე) და მიხვდებით, რომ ავსტრიაში მოპოვებული ერთადერთი გამარჯვება რეალურად ასახავს სადღეისო ვითარებას — დიდი მონდომების მიუხედავად, თავს ზემოთ ძალა არ არის და ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის სუპერლიგის დაბალ დონეს შესაბამისი შედეგები მოაქვს.

მართალია, ანალოგიური მიზეზით გერმანელთა თავკაცს ჰენრიკ როდლს 9 ლეგიონერი დააკლდა, მაგრამ იქაური ბუნდესლიგა კვალიფიციურ შემსრულებელთა რაოდენობით ისე განსხვავდება ჩვენისგან, როგორც ცა და დედამიწა. ასე რომ, მის შეგირდთა ლიდერობა მე-7 ჯგუფში სავსებით ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ.

III ტური
ავსტრია — საქართველო 64:78

საქართველო: დიქსონი — 23, ბითაძე — 12, ბერიშვილი — 10, ცქიტიშვილი — 9, დვალიშვილი — 8, ცინცაძე — 5, ფაცაცია — 5, ბოქოლიშვილი — 4, ბოისა — 2 ქულა.

გერმანია — სერბეთი 79:74

IV ტური
საქართველო — გერმანია 77:87

საქართველო: დიქსონი — 26, ბერიშვილი — 15, ბითაძე — 9, ბოქოლიშვილი — 8, ცქიტიშვილი — 7, ფაცაცია — 5, დვალიშვილი — 4, ჩაჩანიძე — 3 ქულა.

ავსტრია — სერბეთი 81:82.

სატურნირო მდგომარეობა:

გერმანია — 4, სერბეთი — 3, საქართველო — 1, ავსტრია — 0 მოგება.

29 ივნისი. საქართველო — სერბეთი.

2 ივლისი. საქართველო — ავსტრია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ პიონჩანი – 2018

აზიიდან აზიაში

მაშ ასე, ზამთრის XXIII ოლიმპიური თამაშები უკვე ისტორიის საკუთრებაა და 4 წლის შემდეგ მორიგ ფორუმს პეკინი უმასპინძლებს. ჩინეთის დედაქალაქს ესტაფეტა კორეულმა პიონჩანმა გადასცა, სადაც მედლები 30 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლას ქვემოთ გაეცნობით, მანამდე კი გაუწყებთ, რომ ნორვეგიელი მოთხილამურის მარიტ ბიორგენის სახით აზიაში ახალი რეკორდსმენი დაიბადა – 15 მედალი (8, 4, 3).

ასევე საუკეთესოა მის თანამემამულეთა გუნდური მონაგარიც – 39 ჯილდო (14, 14, 11), რუსეთმა კი, პირიქით, ანტირეკორდი დაამყარა – მხოლოდ 2 „ოქრო“.

სხვათა შორის, ოლიმპიადის მიწურულს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთა მორიგი სადოპინგო გმირობის ამბავიც გასკდა – ამჯერად სამშობლო ბობსლეისტმა ნადეჟდა სერგეევამ „ასახელა“.

ნიგერია – 39 (14, 14, 11), გერმანია – 31 (14, 10, 7), კანადა – 29 (11, 8, 10), აშშ – 23 (9, 8, 6), ჰოლანდია – 20 (8, 6, 6), შვედეთი – 14 (7, 6, 1), კორეა – 17 (5, 8, 4), შვეიცარია – 15 (5, 6, 4), საფრანგეთი – 15 (5, 4, 6), ავსტრია – 14 (5, 3, 6), იაპონია – 13 (4, 5, 4), იტალია – 10 (3, 2, 5), რუსეთი – 17 (2, 6, 9), ჩეხეთი – 7 (2, 2, 3), ბელარუსი – 3 (2, 1, 0), ჩინეთი – 9 (1, 6, 2), სლოვაკეთი – 3 (1, 2, 0), ფინეთი – 6 (1, 1, 4), დიდი ბრიტანეთი – 4 (1, 0, 3), პოლონეთი – 2 (1, 0, 1), უკრაინა, უნგრეთი – 1 ოქრო, ავსტრალია – 3 (0, 2, 1), სლოვენია – 2 (0, 1, 1), ბელგია – 1 ვერცხლი, ესპანეთი, ახალი ზელანდია – 2 ბრინჯაო, ყაზახეთი, ლიხტენშტაინი, ლატვია – 1 ბრინჯაო.

გიორგი ზოთაძე



ქართველები კატალონიაშიც დააკავეს

სამართალდამცველებმა კატალონიაში თაღლითობის, ძარცვის, ყაჩაღობისა და დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით 4 ადამიანი დააკავეს. დაკავებულებს შორის, ერთი ქართველი ქალი და სამი ესპანელი მამაკაცია.

გავრცელებული ინფორმაციით, ეჭვმიტანილები ერთი და იმავე სცენარით მოქმედებდნენ. პოლიცია დანაშაულის 21 შემთხვევას იძიებს.

სახლებში შესაღწევად ისინი თავს გაზის კომპანიის თანამშრომლებად ასაღებდნენ, სამიზნე კი, ძირითადად, ასაკოვანი, მარტოხელა და ალცჰეიმერით ან პარკინსონით დაავადებული ადამიანები ხდებოდნენ.

ადგილობრივი მედია წერს, რომ დანაშაულებრივ ჯგუფში ქართველი ქალი სატელეფონო ოპერატორის როლს ასრულებდა და დაზარალებულებს თითქოსდა გაზის კომპანიის თანამშრომლების მისვლის შესახებ ატყობინებდა.

ბექა რუსიას საქმეზე ბრალდებულს 3-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ბექა რუსიას საქმეზე ბრალდებულ დავით ჯალაღანიას, 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ რუსიას ოჯახის წევრებსა და დაკავებულს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

ბექა რუსიას ოჯახი აცხადებს, რომ აღნიშნულ განაჩენს გაასაჩივრებენ. მათი თქმით, დავით ჯალაღანიას ბრალი აღიარებინეს და იარაღს, რომლითაც ბექა რუსიას ესროლეს, ექსპერტიზა არ ჩატარებია. რუსიას ოჯახის წევრები ამბობენ, რომ აღნიშნული იარაღი ალექსანდრე კვიჟინაძეს ეკუთვნის, თუმცა, მას ხელისუფლებიდან მფარველობენ.

რედაქცია
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3.
293-13-34;
599 797679

სანთელი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა გულისტკივილითა და მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ოთარ ჩხეიძის მეუღლე, ჩვენი ძვირფასი მეგობრის, ფრიად გამორჩეული მწერლისა და ლიტერატორის როსტომ ჩხეიძის და ცნობილი საზოგადო მოღვაწის, პარლამენტის წევრის ნატო ჩხეიძის დედა

მარიამ ჩხეიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ყველა ჭირისუფალს.

გამომცემლობები „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი მეგობრის, მწერლისა და ლიტერატორის როსტომ ჩხეიძის დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის

მარიამ ჩხეიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

სოფელ ვერხვიანთან ავტოსაგზაო შემთხვევას შუახნის მამაკაცი ემსხვერპლა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ვერხვიანთან ავტოსაგზაო შემთხვევას 50 წლამდე ასაკის მამაკაცი ემსხვერპლა. ის ადგილზე გარდაიცვალა, მძიმედ დაშავდა მისი შვილი, რომელიც სასწრაფო დახმარების ჯგუფმა საგარეჯოს საავადმყოფოში გადაიყვანა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

◎ ტრადიცია

მზიანი კვირა ზოოპარკის დაბადების დღეზე

თბილისელები და დედაქალაქის სტუმრები ტრადიციულად თებერვლის ბოლო კვირას თბილისის ზოოპარკის დაბადების დღეს აღნიშნავენ. ტრადიციას არც წელს უღალატეს და ამ ისტორიული პარკის დაბადების დღე ოთხმოცდამეთერთმეტედ აღნიშნეს.

უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი პარკის შესასვლელთან, ამდენი მნახველი და „მიმლოცველი“ არც ერთ წელს არ ყოფილა. პატარებისთვის გარდა ათასგვარი ატრაქციონებისა და გასართობი ღონისძიებებისა, სპეციალურად სხვადასხვა სპორტული ღონისძიებაც მოეწყო – სიმაღლეების დაპყრობა, ბაგირებით სიძნელეების გადალახვა. ყოველივე ამას გამოცდილი ინსტრუქტორები ხელმძღვანელობდნენ. სათანადოდ იყო დაცული უსაფრთხოების ზომები. პირველად მოეწყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის ატრაქციონები, სადაც პატარებს ეტლით შეეძლოთ გართობა. ყველა მსურველს საშუალება ეძლეოდა ზოოპარკის ბინადართა გამოსაკვებად, რამაც პატარებში დიდი ინტერესი და ხალისი გამოიწვია. ზეიმი მთელი დღე გრძელდებოდა.

ელგუჯა ნადარეიშვილი,
ავტორის ფოტოები

გილოცავთ!

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ მიესალმება და გულთბილად ულოცავს დაბადების დღეს საქართველოს სახელოვან მამულიშვილს, თავისი ერისა და სამშობლოს გულანთებულ პატრიოტს, ცნობილ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს, წარსულში მსოფლიოში სახელგანთქმულ ფეხბურთელს, სიცოცხლით სავსე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ

კახა კალაძეს.

ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ოჯახის, თბილისისა და საქართველოს კეთილდღეობისთვის ბრძოლაში.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

ღრმა პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით.

ბონდო კობაძე

ფონდის პრეზიდენტი, დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი. „ფაზისის“ საერო სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, „ქართული კულტურის ამაგდარი“ .

ერუსალიმში მაცხოვრის საფლავის სახელობის ტაძარი დაკეტეს...

სასულიერო პირების პროტესტის გამო, იერუსალიმში, მაცხოვრის საფლავის სახელობის ტაძარი დაიხურა.



სასულიერო პირები ისრაელის ახალ საგადასახადო პოლიტიკას და მიწების კონფისკაციის შესახებ მომზადებულ კანონპროექტს აპროტესტებენ. ისინი აცხადებენ, რომ ქრისტიანებზე სისტემატური და უპრეცედენტო თავდასხმა ხორციელდება.

კანონპროექტის თანახმად, რომელსაც კაბინეტის საბჭო და პარლამენტი უახლოეს მომავალში განიხილავენ, ეკლესიების მიერ კერძო პირებზე გაყიდული უძრავი ქონების კონფისკაცია მოხდება.

ეგვიპტეში ფარაონის რამდენიმე საფლავი აღმოაჩინეს

ეგვიპტის ისტორიულ ძეგლთა დაცვის მინისტრის ჰალიდ ელ-ანანის განცხადებით ქალაქ ელ-მინიაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად 3000 წლის 8 ფარაონის საფლავი აღმოაჩინეს.



მისივე თქმით, აღნიშნულ ქალაქში არქეოლოგიური გათხრები 2017 წელს დაიწყეს. უკვე ცნობილია, რომ აღმოჩენილი საფლავების დეტალურად შესწავლას დიდი დრო დასჭირდება.

ისტორიული სამუშაოების უმაღლესი საბჭოს გენერალური მდივნის მუსტაფა ელ-ვეზირის განცხადებით, გათხრების შედეგად აღმოჩენილები, გვიან ფარაონის პერიოდს (ძვ. წ. 332-1085) მიეკუთვნება.

რეგიონში არქეოლოგიური გათხრები კიდევ 5 წელს გაგრძელდება. ეგვიპტეში ადგილობრივი და უცხოური მისიონერების მიერ ჩატარებული გათხრების შედეგად ათასობით წლის ისტორიული ნამუშევრების აღმოჩენა ხდება.

რომში თოვლის გამო სკოლები დაიხურა

რომში ამ სეზონისთვის ანომალიური რაოდენობის თოვლი მოვიდა. იტალიის ყველა სასკოლო დაწესებულება დაიხურა.

„ხელმოწერილი იქნა დადგენილება, რომლის თანახმადაც ყველა სკოლა, ბაგა-ბაღების ჩათვლით, რომის ტერიტორიაზე დაიხურა“ — ნათქვამია რომის მერიის დადგენილებაში.

აცხადებენ, რომ ცივი ნალექი ციმბირიდან წამოვიდა და მოძრაობს ჩრდილო სამხრეთ იტალიის მიმართულებით. დღეისთვის რომში ტემპერატურა -5 გრადუსამდე დაეცა.

გასაცინებელი ა(მ)ბები

საქმენი

ნიუ-იორკის ერთ-ერთ რესტორანში დიდი ხნის უნახავი ორი ბიზნესმენი შეხვდა ერთმანეთს:

— როგორ მიდის შენი საქმეები, ჯო? — ჰკითხა ერთმა.

— უკვე მეოთხედ გამოვაცხადე თავი გაკოტრებულად.

— რა მერე?

— მერე ის, რომ თუ ასე გაგრძელდა, მეხუთედ ნამდვილად გავკოტრდები.

როცა ბედი არ გწყალობს

— **როცა** ბედი არა გწყალობს, ვერაფერს იზამ! — წამოიძახა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც სამუშაო გამოუჩნდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ძმაკაცმა.

— გემზე ვითხოვე სამუშაო, ვიფიქრე ქვეყნიერებას შემოვივლი-მეთქი, ამათ კი წყალქვეშა ნავში გამამწესეს.

ფეხბურთელები

ჯონი ფეხბურთელია. ერთხელაც ოჯახში ვახშამზე დაიგვიანა და ცოლმა საყვედურებით აავსო.

— ვერ წარმოიდგენ ისეთი სულელური ამბავი დაგვემართა! — თავი იმართლა ჯონმა. — ძალიან საპასუხისმგებლო მატჩი გვქონდა, მაგრამ შუა თამაშის დროს ისეთი ნისლი ჩამოწვა, თითქმის ორი საათი ვითამაშეთ და მერეღა მივხვდით, თურმე უბურთოდ ვთამაშობდით.

პლაჟზე

პლაჟზე პოლიციელი მიუახლოვდა გოგონას, რომელსაც საბანაო კოსტიუმი მეტისმეტად სიმბოლურად ეცვა.

— რას იტყოდა დედათქვენი, ასეთ მდგომარეობაში რომ ენახეთ?

— გაგიჟდებოდა, ეს ხომ იმის კოსტიუმია!

მირაჟი

ბენზინგასამართი სადგური აფრიკაში. გამოფენილია დიდი აბრა: „აავსე ბენზინის ავზი და ყველა კანისტრა, შემდგომი სამი ბენზინგასამართი სადგური, რომელიც გზად შეგვხვდება, მირაჟია“!

დოკუმენტური ფილმი

კინოსტუდიაში ნახულობენ ახლახან დამთავრებულ დოკუმენტურ ფილმს.

— უჰ, რა ჩინებული დაყოვნებული გადაღებებია, — აღფრთოვანებული წამოიძახებს სამხატვრო საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

— ეს სულაც არ არის დაყოვნებული გადაღებები, — ეუბნება რეჟისორი. — აქ საცხოვრებელი სახლის რემონტი გადავიღეთ.

მგზავრი

კონტროლიორი ფანჯარასთან ჩაძინებულ მგზავრს აღვიძებს.

— თქვენი ბილეთი.

— ბილეთი არა მაქვს.

— სად მიდიხართ.

— არსადაც არ მივდივარ.

— მაშ, მატარებელში რა გინდათ?

— კონდუქტორს დავემორჩილე, მან ისე მბრძანებლურად დაიძახა „გთხოვთ, ჩასხდეთო!“, რომ ჩემდა უნებურად ამოვედი მატარებელში.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4671; ევრო - 3.0375;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4475;
100 რუბლი - 4.3763; თურქული ლირა - 0.6517;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4557;
1000 სომხური დრამი - 5.1238.

ამინდი 27 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+10
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge